პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

24 თებერვალი საბჭოების არჩევნების დღეა

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 46 (19188) შაბათი, 23 თებერვალი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის გზით, აღმშენებლობისა და მშვიდობის გზით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ნაცადი ავანგარდი, ყველა მისი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან: კომუნისტურ პარტიას არა აქვს იმაზე უფრო დიდი საზრუნავი, ვიდრე ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. დაასახელეს რა დეპუტატობის კანდიდატებად თავიანთი საუკეთესო წარმომადგენლები, მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ქვეყანაში ყველგან გამართულ წინასაარჩევნო კრებებზე, დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრებზე მუშებმა და კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ, კომუნისტებმა და უპარტიოებმა, ვეტერანებმა და ახალგაზრდობამ ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის — გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს პოლიტიკური კურსი, პრაქტიკული საქმიანობა.

22 თებერვალს მოსკოვში, კრემლის სხდომათა დარბაზში გაიმართა დედაქალაქის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებისა და მოსკოვის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება, რომელიც მიეძღვნა რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოსთან შეხვედრას.

კრების მონაწილენი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ვ. კუზნეცოვს, მ. ვ. ზიმიანინს, ე. კ. ლიგაჩოვს.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

დიდი აღმავლობით აირჩიეს კრების საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

საბჭოთა ადამიანები, თქვა ვ. ვ. გრიშინმა, ეგებებიან არჩევნებს როგორც დიდ და მნიშვნელოვან მოვლენას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საარჩევნო კამპანიის დროს მკაფიოდ ვლინდება საბჭოთა წყობილების, სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის უშრეტი ცხოველმყოფელი ძალა, სოციალისტური დემოკრატიის ძირეული უპირატესობანი, რომლებიც პრაქტიკულად უზრუნველყოფენ ჭეშმარიტ სახალხო ხელისუფლებას, ყველა მშრომელის მონაწილეობას სახელმწიფოს და საზოგადოების საქმეთა მართვაში.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები დაასახელეს ყველგან საბჭოთა ადამიანებმა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის პირველ კანდიდატებად. ერთსულოვნებით, რომლითაც მიმდინარეობდა მათი დასახელება, ახალი ძალით გამოვლინდა კომუნისტური პარტიის გარშემო საბჭოთა ხალხის მონოლითური შეკავშირება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საყოველთაო სახალხო მხარდაჭერა.

მოსკოვის საწარმოების — „მოსკოვის ელექტრონათურების ქარხნის" გაერთიანების ქარხანა „ქრომატრონისა" და სამკერვალო გაერთიანება „სოკოლის", ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის „ელექტროქარხნის" საწარმოო გაერთიანების კოლექტივებმა რსფსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 28 კუიბიშევის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. უ. ჩერნენკო.

მოსკოვის მშრომელები, ყველა საბჭოთა ადამიანი კარგად იცნობენ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს, როგორც ლენინის საქმის ერთგულ გამგრძელებელს, მიზანსწრაფულ, პრინციპულ, უაღრესად შრომისმოყვარე ადამიანს, გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც საქმის ღრმა ცოდნას უხამებს მუშაობის ზუსტად ორგანიზების უნარს, მომთხოვნელობას — ადამიანებისადმი პატივისცემას, კეთილმოსურნე დამოკიდებულებას, პირად თავმდაბლობას.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს უდიდესი წვლილი შეაქვს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრინციპული საფუძვლების ჩამოყალიბებაში, მისი განხორციელების გზების შემუშავებაში. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ყოველთვის შორსმჭვრეტელი და დროული ინიციატივები ისახავენ ერთიან მიზნის მიღწევას — გახადონ ჩვენი დიადი ქვეყანა კიდევ უფრო აყვავებული და ძლევამოსილი, გახადონ საბჭოთა ადამიანების ცხოვრება მატერიალურად კიდევ უფრო უზრუნველყოფილი და სულიერად მდიდარი.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს სახელს უკავშირდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების ბევრი დიდი საკითხის გადაწყვეტა, ქვეყნის ცხოვრებაში საბჭოების როლის ამაღლება, სასკოლო რეფორმის განხორციელება, ორგანიზატორული, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება. კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მზადება სკკპ XXVII ყრილობისათვის, მუშავდება პარტიის პროგრამის ახალი რედაქცია.

მთელმა მსოფლიომ იცის, როგორ დაუცხრომლად ზრუნავს კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ბირთვული ომის საფრთხე, რომელიც კაცობრიობას შეექმნა, განმტკიცდეს საყოველთაო მშვიდობა და განვითარდეს ნაყოფიერი საერთაშორისო კავშირურთიერთობა, გაღრმავდეს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების თანამშრომლობა.

როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელი, ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო უდიდეს ყურადღებას უთმობს ჩვენი ქვეყნის უშიშროების განმტკიცების საკითხებს, მისი თავდაცვისუნარიანობის სათანადო დონეზე უზრუნველყოფას, რაც საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების, მთელი კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის გარანტიაა.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო მუდამ ინტერესით ეცნობა მოსკოვის ცხოვრებას, მისი ეკონომიკის განვითარებას, მოსკოველთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობებს, იგი დიდ დახმარებას უწევს საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას, დედაქალაქის საბჭოთა ორგანოებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში. ყოველდღიურ ზრუნვას არ აკლებს იგი მოსკოვის კუიბიშევის რაიონს.

მოსკოველები დიდად კმაყოფილი არიან იმით, რომ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო, რომელიც მათი დეპუტატია ქვეყნისა და რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოებში, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად კვლავ კენჭს იყრის ქალაქ მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქში.

კონსტანტინე უსტინის ძე, თქვა, შემდეგ ვ. ვ. გრიშინმა, ექიმთა რჩევით არ მონაწილეობს ახლანდელ კრებაში. მან კუიბიშევის ოლქის ამომრჩევლებთან, მოსკოვის ყველა მშრომელთან, კრების მონაწილეებთან დამაბარა გულითადი სალამი, მთხოვა გისურვოთ ჯანმრთელობა, ყოველი სიკეთე, ბედნიერება, წარმატება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თქვა ვ. ვ. გრიშინმა, მხურვალე მადლობა მოვახსენო კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს მოკითხვისა და კეთილი სურვილებისათვის.

შემდეგ ვ. ვ. გრიშინმა აღნიშნა, რომ მოსკოვმა წარმატებით შეასრულა გასული წლისა და ხუთწლედის ოთხი წლის დავალებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების დამატებით შემცირების დავალებანი მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში.

მოსკოველები საქმით უპასუხებენ პარტიის მოწოდებას — გადააქციონ 1985 წელი დამკვრელური მუშაობის წლად. არჩევნების დღისათვის 400 ათასზე მეტმა მუშა-მოსამსახურემ შეასრულა ორი და მეტი თვის დავალებანი. მიმდინარეობს დაძაბული მუშაობა, რომლის მიზანია სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის ხუთწლიანი გეგმის შესრულება დიდი ოქტომბრის 68 წლისთავისათვის.

მოსკოვის მშრომელებმა გადაწყვიტეს ვადამდე შეასრულონ 1985 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებანი, ღირსეულად შეხვდნენ კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა ვ. მ. შიკოვმა — მოსკოვის საწარმოო გაერთიანება „მოსკოვის ელექტრონათურების ქარხნის" ამწყობმა — შეკრებილთ გააცნო კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ცხოვრების გზა, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობა.

ოლქის ამომრჩეველთა სახელით ვ. მ. შიკოვმა გულითადი მადლობა მოახსენა კონსტანტინე უსტინის ძეს იმისათვის, რომ დათანხმდა რსფსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად კენჭი ეყარა ქ. მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქში.

ეს დიდი სიხარულია, თქვა მან, დიდი პატივია ჩვენთვის, ყველა მოსკოველისათვის. როგორც მუშაკაცმა, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზა მშრომელი კაცის გზაა. ეს თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ გამოარჩევენ და აჰყავთ ლენინურ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას ნიჭიერი, უნარიანი და ენერგიული ადამიანები ხალხის წიაღიდან სოციალისტური აღმშენებლობის მწვერვალებამდე.

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს სახელს მოსკოველები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანები, უკავშირებენ დიდ წარმატებებს პარტიის იმ პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და რეალიზაციაში, რომელიც გამსჭვალულია ლენინური ზრუნვით ჩვენი სამშობლოს ძლიერების გადიდებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ამიტომ ასე ახლობელი და გასაგებია ჩვენთვის პარტიის მიერ წამოყენებული ამოცანები განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის შესახებ. ისინი ეხმიანება ჩვენს აზრებს, გრძნობებს, მისწრაფებებს.

მშობლიური ქარხნის მაგალითით მუშამ გააშუქა 1984 წელს საწარმოს მუშაობის შედეგები, აღნიშნა ის მაღალი შრომითი განწყობა, რომლითაც გაერთიანების კოლექტივი ეგებება რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს, ემზადება ღირსეულად შეასრულოს 1985 წლისა და მთელი მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი.

ეგებებიან რა არჩევნებს, თქვა დასასრულ ვ. მ. შიკოვმა, მოსკოვის „ელექტრონათურების ქარხნის" გაერთიანების მშრომელები, ყველა მოსკოველი ერთსულოვნად ისწრაფვიან ცხადყონ პარტიის, დიდი ლენინის საქმის, კომუნისტური იდეალების ერთგულება.

მან დედაქალაქის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს მოუწოდა 24 თებერვალს, არჩევნების დღეს, ერთსულოვნად მისცენ ხმა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს.

შემდეგ გამოვიდნენ № 871 სკოლის მასწავლებელი მ. ნ. ვაშჩენკო, მოსკოვის ტელევიზიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსი ბ. ნ. ხოხლოვი. მოსკოვის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ელექტროქარხნის" გენერალური დირექტორი ა. ა. ტარასოვი.

მათ აღნიშნეს, რომ მომავალი არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც მკაფიოდ მოწმობს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ აყვავებას.

მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დედაქალაქის კუიბიშევის რაიონის მშრომელები, მცხოვრებლები, ყველა მოსკოველი კარგად იცნობენ და დიდ პატივს სცემენ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს, როგორც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ლენინური ტიპის ხელმძღვანელს, მარქსისტულ-ლენინური იდეების მგზნებარე პროპაგანდისტს, მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს.

რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნებისათვის მზადებამ, თქვეს ორატორებმა, ხელი შეუწყო მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის, აქტიურობის გადიდებას, რომელიც მიზნად ისახავს დიადი გამარჯვების 40 წლისთავის, პარტიის XXVII ყრილობის ღირსეულ შეხვედრას.

ორატორებმა განაცხადეს, რომ კუიბიშევის ოლქის ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას თავიანთ დეპუტატობის კანდიდატს, პარტიისა და ხალხის ერთგულ შვილს, გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს და ამით გამოხატავენ უსაზღვრო მხარდაჭერას ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკისადმი, რომელიც გულდაჯერებით მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის გზით.

კრების თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა თქვა, რომ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ მოამზადა ამომრჩეველთა წინაშე წარმოსათქმელი სიტყვა. ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს დავალებით მისი სიტყვა წაიკითხეს კრებაზე.

კრების მონაწილენი ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვას დიდი კმაყოფილებითა და მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, როგორც კრებაზე აღინიშნა, საფუძვლად დაედება მოსკოვის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას პარტიის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის, სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, დედაქალაქის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლების, ყველა მოსკოველის სახელით კრებაზე გულითადი მადლობა გადაუხადეს ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მოსკოვის კუიბიშევის რაიონის მშრომელთა მისამართით გამოთქმული კეთილი სიტყვებისათვის, მხურვალედ უსურვეს კონსტანტინე უსტინის ძეს ჯანმრთელობა და ახალი წარმატებანი საბჭოთა ხალხის, ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავების, მშვიდობისა და კომუნიზმის საკეთილდღეო მოღვაწეობაში.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით, ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოსადმი. (საქტაგი).

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითად მადლობას მოვახსენებ მოსკოვის კუიბიშევის რაიონის მშრომელებს, რომლებმაც კვლავ დამასახელეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა გავამართლო ეს უდიდესი ნდობა, ეს დიდი პატივი.

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების არჩევნები ხალხის პოლიტიკური ნების პირდაპირი, თვალსაჩინო გამოხატულებაა. და ჩვენ, კომუნისტები, რა თქმა უნდა, ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა ადამიანები თავიანთ კანდიდატებს შორის ასახელებენ უწინარეს ყოვლისა ლენინური პარტიის — ჩვენი საზოგადოების წამყვანი ძალის წარმომადგენლებს. ეს დამაჯერებლად მოწმობს, რომ მშრომელები მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, მოწმობს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას.

ერთი წლის წინათ თქვენი რაიონის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე საფუძვლიანად ვიმსჯელეთ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირეულ საკითხებზე სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობაზე. ლაპარაკი იყო ბოლო წლების წარმატებებსა და სიძნელეებზე, იმაზე, თუ რის გაკეთებას ვაპირებთ, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს და დამშვენდეს ჩვენი სამშობლო. რათა უფრო უკეთესი, შინაარსიანი გახდეს ყოველი საბჭოთა ადამიანის ცხოვრება. და რათა იყოს მშვიდობა — მტკიცე, მყარი მშვიდობა.

სწორედ ამიტომ მინდა უწინარეს ყოვლისა მოგახსენოთ ის, რასაც მივაღწიეთ განვლილი წლის მანძილზე. ეს კი იყო ყველა ჩვენგანისათვის დიდი და დაძაბული შრომის წელი.

თქვენ კარგად იცით, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ უაღრესად ფართო ფრონტზე. დიდი ყურადღება ეთმობოდა ეკონომიკას, მართვის გაუმჯობესებასა და სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის გადიდებას, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და პოლიტიკური აქტიურობის განვითარებას, იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფას. როგორც ცნობილია, განხორციელდა დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების სერიოზული ღონისძიებანი. მაგრამ ეს ღონისძიებები, პირდაპირ გეტყვით, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. აქ ჩვენ ვმოქმედებდით და ვიმოქმედებთ ზუსტად სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის, 1983 წლის ივნისისა და 1984 წლის თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ამავე დროს უშუალოდ მოვკიდეთ ხელი ჩვენი ცხოვრების ბევრი სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაწყვეტასაც. საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესება და სკოლის რეფორმა, კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფა და სახალხო კონტროლის გააქტიურება, მიწების მელიორაცია და ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი როლის ამაღლება — აი მხოლოდ ნაწილი იმ პრობლემებისა, რომელთა გადაჭრასაც ვახმარდით ჩვენს ძალისხმევას.

პარტიის მუშაობა, როგორც ხედავთ, სულ უფრო მრავალმხრივი ხდება. და გასაგებია რატომ. ამას მოითხოვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიული კურსი — ჩვენში აშენებული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფის კურსი.

ამას მოითხოვს ახლანდელი პოლიტიკური მომენტის თავისებურებაც. ჩვენ გავშალეთ მზადება პარტიის XXVII ყრილობისათვის, რომელმაც განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს ჩვენი პარტიის ისტორიაში, ქვეყნის ცხოვრებაში. სწორედ მან უნდა მიიღოს პარტიული პროგრამის ახალი რედაქცია.

ეს იქნება განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროგრამა. დიდი აღმშენებლობითი საქმიანობის პროგრამა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მთლიანად შევასხათ ხორცი ჩვენს სოციალისტურ იდეალებს. და მაშასადამე მოვაახლოოთ კიდეც კომუნიზმის მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებულ ამოცანათა გადაწყვეტის შესაძლებლობა, კომუნიზმისა, რომელიც იყო და კვლავ არის ჩვენი დიადი მიზანი.

მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერებისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონის მკვეთრ ამაღლებას სულიერი კულტურის ყოველმხრივ აყვავებასთან ერთად. მივაღწიოთ ჩვენი წყობილებისათვის დამახასიათებელი სოციალური სამართლიანობისა და მისი იმ ძირეული პრინციპის სრულ და ყველგან დამკვიდრებას, რომელიც გულისხმობს: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით". აი, რა ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები უნდა აისახოს, ჩვენი აზრით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში, რომელზე მუშაობაც ახლა დამამთავრებელ სტადიაში შედის.

შეიძლება ვინმემ თქვას: ხომ არ გაგვიტაცა პერსპექტიულ ამოცანათა შემუშავებამ, მაშინ, როცა ჯერ კიდევ ყველა მიმდინარე პრობლემა როდი გვაქვს გადაჭრილი განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნათა დონეზე?

ამ კითხვას მე ასე ვუპასუხებდი: უახლოესი, გადაუდებელი პრობლემების წარმატებით გადაჭრა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა გვაქვს ზუსტი სამომავლო პერსპექტივა, ნათლად გვესმის მომავალი მუშაობის მასშტაბი. და რწმენას, რომ ჩვენ ამ სამუშაოს თავს გავართმევთ, საფუძვლად უდევს მეცნიერული, რეალისტური პროგნოზები. ამ რწმენას საფუძვლად უდევს ბოლო დროის სავსებით რეალური მიღწევები, ის შედეგები, რომლებიც ჩვენს განვითარებაში გარკვეული ნეგატიური ტენდენციების დაძლევით მოვიპოვეთ.

მივმართოთ გასული წლის ეკონომიკურ შედეგებს. ისინი ცხადყოფენ მრეწველობის შემდგომ მტკიცე აღმავლობას. იმას, რომ მნიშვნელოვნად იზრდება საწარმოო სიმძლავრეები სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში, მატულობს ჩვენი საზოგადოებრივი დოვლათი.

არ მოვიყვან ციფრებს. ისინი გამოქვეყნებულია პრესაში. მინდა ყურადღება მივაპყრო მხოლოდ ერთ მაჩვენებელს.

მხედველობაში მაქვს შრომის ნაყოფიერება. მისი გადიდების გზით მივიღეთ ეროვნული შემოსავლის თითქმის მთელი მატება. აქედან უნდა გამოვიტანოთ მნიშვნელოვანი დასკვნა: საბჭოთა ეკონომიკა სულ უფრო მტკიცედ დგება ინტენსიური განვითარების რელსებზე. ეს კი ჩვენი უპირველესი საზრუნავია დღესაც და ხვალაც. შრომის ნაყოფიერების ახლანდელი დონე ხომ ჩვენ, ამხანაგებო, ვერანაირად ვერ დაგვაკმაყოფილებს.

ვაწარმოოთ მეტი ნაკლები დანახარჯებით — ასეთია ეკონომიკის ინტენსიური ზრდის, თითქოსდა, მარტივი ფორმულა. მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, რომ არც ისე ადვილია მისი განხორციელება. აქ უმალვე წამოიჭრება უამრავი პრობლემა — ორგანიზაციულიც, ტექნიკურიც, მორალურ-ფსიქოლოგიურიც. ახლა ჩვენ მათ უფრო გულდაჯერებით ვწყვეტთ.

მშრომელებში გაიზარდა სამუშაოსათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. შარშან, მაგალითად, საწარმოებმა ორმხრივი მიწოდების ვალდებულებანი შეასრულეს უფრო სრული მოცულობით, ვიდრე ხუთწლედის წინა წლების განმავლობაში. ათიათასობით შრომითმა კოლექტივმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი ნედლეულისა და სათბობის ეკონომიას. ეს ახლა ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო პრობლემაა.

ყოველივე ეს ხელშესახები დადასტურებაა იმისა, რომ ჩვენი ეკონომიკა მიიწევს თავისი განვითარების თვისებრივად ახალი მიჯნისაკენ.

არის ამ პროცესში მიღწევები, რომლებიც განსაკუთრებით გვახარებს. მათ შორის სიამოვნებით აღვნიშნავ თქვენი რაიონის მშრომელების წარმატებას. ჩემ წინაშეა ხუთწლედის ოთხი წლის მონაცემები. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში თქვენთან ერთ-ნახევარჯერ და მეტად იზრდებოდა, ვიდრე გეგმით იყო დასახული. აი გასული წლის მონაცემებიც. თქვენ, ისე როგორც ქვეყნის სხვა კოლექტივებმა, ვალდებულება იკისრეთ შრომის ნაყოფიერება გეგმის გადაჭარბებით ერთი პროცენტით მაინც გაგედიდებინათ. გაადიდეთ კი ორი პროცენტით და მეტად. შესანიშნავი შედეგია. კარგად გარჯილხართ, ამხანაგებო!

საერთოდ მოსკოვის მშრომელები ენერგიულად მუშაობენ მეთერთმეტე ხუთწლედში. მათ პირობა დადეს, რომ ვადამდე შეასრულებენ მას. ჩვენ კი ყველამ ვიცით, რომ მოსკოველები სიტყვის პატრონნი არიან. შემთხვევითი არ არის, რომ 1984 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მოსკოვი და მისი კუიბიშევის რაიონი დაჯილდოვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით.

ცნობილია, ამხანაგებო, რომ ეკონომიკის სფეროში მთელი ჩვენი მეცადინეობის საბოლოო მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. და აქ ჩვენ წლითიწლობით განუხრელად მივიწევთ წინ.

ავიღოთ ისეთი, პირდაპირ ვთქვათ, მწვავე საკითხი, როგორიც არის გამძლე, მაღალხარისხოვან საქონელზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება. მიმდინარე ხუთწლედის ოთხივე წლის მანძილზე თანამიმდევრულად ვიცავდით სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი დარგების უპირატესი განვითარების პრინციპულ დებულებას.

ჩვენ წინათაც დაგვისახავს ასეთი ამოცანა. მაგრამ მისი შესრულება ყოველთვის როდი ხერხდებოდა. ახლა რეალური, პრაქტიკული ძვრა მოხდა.

კარგია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში უფრო აქტიურად ებმებიან მძიმე მრეწველობის დარგები. შარშან სამომხმარებლო საქონლის გამოშვებაში მათი წილი დაახლოებით 30 პროცენტამდე გაიზარდა. ამის სოციალური და, თუ გნებავთ, პოლიტიკური აზრიც თითოეულისათვის გასაგებია. ჩვენი მძლავრი ინდუსტრია კიდევ უფრო მეტს მუშაობს უშუალოდ ადამიანთა საკეთილდღეოდ.

ამასთან ერთად ყველამ ვიცით, რომ ჩვენი სამომხმარებლო საქონლის ხარისხის გაუმჯობესება კვლავინდებურად ფრიად აქტუალურ საქმედ რჩება.

სასიხარულოა აღინიშნოს საბინაო პრობლემის გადაჭრაში მიღწეული წარმატებები. მარტო 1984 წელს 2 მილიონი ახალი კეთილმოწყობილი ბინა აშენდა. 40 მილიონმა კაცმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე და ყველა საფუძველი გვაქვს მივიჩნევდეთ, რომ ხუთწლედების ისტორიაში უდიდესი ბინათმშენებლობის პროგრამა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდება.

წლების განმავლობაში ჩვენ თანამიმდევრულად ვახორციელებთ დედათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს, ვუდიდებთ შეღავათებს მრავალშვილიან ოჯახებს. ჩვენს უპირველეს საზრუნავთა შორის არის საბავშვო ბაგა-ბაღების დაჩქარებული მშენებლობა, საბავშვო საქონლის წარმოების გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება.

შეუნელებელ ყურადღებას ვუთმობთ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცებას. პარტიას ეს ამოცანა ფართოდ ესმის. აქ არის შრომის პირობების გაჯანსაღებაც, და გარემოს დაცვაც, ნამდვილად მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის გაშლაც, და, რაღა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სრულყოფა.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ პარტია, ჩვენი სახელმწიფო ზრდიან მომთხოვნელობას ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობისადმი, თანამიმდევრულად ებრძვიან ამ საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. ამასთან ერთად ჩვენ კარგად ვხედავთ იმის საჭიროებასაც, რომ გაუმჯობესდეს მედიცინის მუშაკთა შრომისა და ცხოვრების პირობები. კერძოდ, განიხილება საკითხი, რომ გაისად დაიწყოს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის ხელფასის მომატების ღონისძიებათა განხორციელება. ეს, რა თქმა უნდა, იქნება დიდი ნაბიჯი პარტიის სოციალურ პოლიტიკაში, საქმე ხომ ხუთ მილიონზე მეტი კაცის კეთილდღეობას ეხება.

ერთი სიტყვით, ხალხისათვის ბევრი კარგი რამ კეთდება. მაგრამ, პირდაპირ უნდა ვთქვათ, გაცილებით მეტია გასაკეთებელი. რა უშლის ამას ხელს?

პასუხი, მე მგონი, ნათელია. ცხოვრების დონე და ხარისხი ჩვენს საზოგადოებაში წლითიწლობით ზუსტად იმდენად მაღლდება, რამდენადაც უკეთ ვმუშაობთ. არც ნაკლებად და არც მეტად. მაშასადამე, უფრო სწრაფად რომ გავაუმჯობესოთ ხალხის კეთილდღეობა, საჭიროა უფრო სწრაფად და საფუძვლიანად ვაუმჯობესებდეთ ჩვენს მუშაობას ყველა უბანზე.

სწორედ ამისათვის ილვწიან პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი. ისინი დაუცხრომლად წარმართავენ საქმეს ისე, რომ უკვე 80-იანი წლების დამლევამდე უზრუნველყონ ნამდვილი გარდატეხა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, საბჭოთა ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაში.

ამასთან დაკავშირებით აი რას მინდა გავუსვა ხაზი. ჩვენს სამეურნეო მუშაობაში რომ თვისებრივი ცვლილებებია საჭირო, შეიძლება ითქვას, ეს ყველას ფართოდ აქვს შეგნებული. ახლა უფრო მტკიცედ უნდა ვახორციელებდეთ ამ ცვლილებებს საქმით. უფრო გაბედულად, გაუჭიანურებლად უნდა ვითვისებდეთ ყოველივე სასარგებლოს, საგულისხმოს, რაც უკვე მოგვცა ეკონომიკურმა ექსპერიმენტებმა, მეურნეობრიობის მოწინავე ფორმებმა და მეთოდებმა. მით უმეტეს, რომ მიმდინარეობს ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. და მისი დავალებების ღირსეულად შესრულებისათვის საჭირო იქნება — კიდევ ერთხელ ვიმეორებ ამას — დიდი, შეუპოვარი, ინიციატივიანი შრომა.

დაგეგმვასა და მართვას, სამეურნეო მექანიზმს, შრომის ანაზღაურების სისტემას — ყოველივე ამას ახლა უნდა სრულვყოფდეთ, რომ იტყვიან, საქმის გადაუდებლად. სპეციალურად ამ სამუშაოსათვის გამოყოფილი დრო ჩვენს კალენდარში არ არის.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ბევრი საინტერესო აზრი, საქმიანი განაწესი გამოითქვა იმის თაობაზე, თუ როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი ხელისუფლებისა და სამეურნეო მართვის ორგანოების მუშაობა. საბჭოების ამოცანაა გულდასმით, მაქსიმალური ყურადღებით შეისწავლონ, განაზოგადონ ისინი. და რაც მთავარია — ხორცი შეასხან მათ.

ამხანაგებო, ცოტა დრო გვაშორებს დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავს.

(დასასრული მე-2 გვ.)

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

(დასასრული)

გმირმა საბჭოთა ხალხმა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ჰიტლერულ ურდოებთან უსასტიკეს შერკინებაში დაიცვა თავისი სოციალისტური მამული, თავისუფლება მოუტანა ევროპას, მსოფლიო ცივილიზაცია იხსნა ფაშისტური ბარბაროსობისაგან. ეს გმირობა მარად უკვდავი იქნება!

ჩვენ წმიდად ვინახავთ იმათ ხსოვნას, ვინც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაიღუპა. ჩვენს უზენაეს მოვალეობად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია მუდამ ვზრუნავდეთ დიდი სამამულო ომის ვეტერანებისათვის, მათი ჯანმრთელობისათვის, ყოფა-ცხოვრების პირობებისათვის.

გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით დროულად მიმაჩნია ხაზი გავუსვა მშრომელებისა და, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდისათვის მიზანმიმართული, მარჯვე მუშაობის მთელ მნიშვნელობას. ვუნერგავდეთ ადამიანებს სამშობლოს სიყვარულის გრძნობას, ურყევ მზადყოფნას დაიცვან სოციალისტური მონაპოვრები — ეს არის მთელი ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის წარუვალი ამოცანა.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ჩვენს მეომრებს, თქვენ ყველას, ამხანაგებო, მოგილოცოთ კარს მომდგარი დღესასწაული — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე. საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ: პარტია, სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობდნენ და კვლავაც იხმარენ, რათა ჩვენს შეიარაღებულ ძალებს შეეძლოთ საიმედოდ დაიცვან ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება, რათა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა მუდამ იყოს სათანადო დონეზე.

ამხანაგებო!

ჩვენ, ახლანდელ თაობას, გვაკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა — არ დავუშვათ ახალი მსოფლიო ხანძარი, ვიხსნათ სიცოცხლე პლანეტაზე.

რთული საერთაშორისო ვითარება მოითხოვს დიდ სიფხიზლეს, სიმტკიცეს, გამძლეობას. და, რა თქმა უნდა, აქტიურ მოქმედებას მსოფლიო კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმისათვის დიდი სიკეთეა, რომ ქვეყნად არსებობს სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომელიც განუხრელად იცავს საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს. მთელი გასული წლების მანძილზე ძალღონე არ დაგვიშურვებია, რათა სოციალისტური ქვეყნების ურთიერთმოქმედება ყველა დარგში განმტკიცებულიყო და გაფართოებულიყო.

ძალა ერთობაშია — ასეთი იყო მუშათა მოძრაობის ოდინდელი ლოზუნგი. დღეს იგი სავსებით ესადაგება მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს.

ერთად ჩავფუშეთ ჩვენ იმპერიალისტების ზრახვები ეკონომიკურად დაეუძლურებინათ სოციალიზმი. ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნები კიდევ უფრო დაწინაურდნენ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, და, რაც მთავარია, ეკონომიკურად გარეშე ზემოქმედება ბევრს ველარაფერს დაგვაკლებს. ამას ითვალისწინებს, კერძოდ, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების შარშანწინდელი უმაღლესი დონის თათბირის გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელებისათვის ახლა ჩვენ ყველანი ვილვწით. სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი ჩქარდება. ღრმავდება შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება. ამით მოიგო თითოეულმა მოძმე ქვეყანამ და მთელმა სოციალისტურმა თანამეგობრობამ.

ერთად არ დავუშვით ჩვენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს თავიანთ სასარგებლოდ დაერღვიათ სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტი. ასე იქნება კვლავაც. ჩვენი ძმური კავშირი ურღვევია. მალე აღვნიშნავთ ვარშავის ხელშეკრულების ოცდაათი წლისთავს. შემიძლია გაცნობოთ, რომ ხელშეკრულების ყველა მონაწილემ მხარი დაუჭირა მისი მოქმედების ვადის განგრძობას. მაშინ, როცა კვლავ მოქმედებს ნატოს აგრესიული იმპერიალისტური ბლოკი, ჩვენ წინანდებურად გვჭირდება შეთანხმებული, კარგად კოორდინირებული მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა და საიმედო ფარი მშვიდობიანი შრომისათვის.

ჩვენ მხარს ვუჭერთ საერთაშორისო ასპარეზზე მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის როლისა და გავლენის ზრდას. ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის მოწესრიგებას. ამ თვალსაზრისით სასარგებლო ნაბიჯები გადაიდგა შარშან. თუმცა არ შეიძლება არ ვხედავდეთ კვლავ არსებულ სერიოზულ პოლიტიკურ უთანხმოებას, გვინდა ვიქონიოთ იმედი, რომ ორივე მხარის მეცადინეობით საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა სამომავლოდ კეთილად განვითარდება.

საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში ჩვენ დედამიწის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად ვმოქმედებთ. დღეს ეს ნიშნავს, კერძოდ, თანამშრომლობას ყოფილი კოლონიური და ნახევრად კოლონიური სამყაროს თავისუფლებისმოყვარე, დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან. ყველა ასეთი სახელმწიფო — დიდი ინდოეთით დაწყებული და პატარა ბენინით დამთავრებული, მეზობელი არაბული ქვეყნებით დაწყებული და ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის შორეული რესპუბლიკებით დამთავრებული — ჩვენი ბუნებრივი პარტნიორები და თანამოაზრენი არიან, როცა საქმე ეხება ხალხების უფლებებისა და კაცობრიობის მშვიდობიანი მერმისის დაცვას. მათთან მეგობრობას ვუფრთხილდებით, მას განვავითარებთ და განვამტკიცებთ.

ამხანაგებო! ჩვენი საგარეო პოლიტიკის ღერძი დღეს, რა თქმა უნდა, არის ბრძოლა იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის.

ჩვენ შეერთებულ შტატებთან ახალი მოლაპარაკების ზღურბლზე ვდგავართ. ორივე მხარემ განვაცხადეთ, რომ ამ მოლაპარაკებას ვიწყებთ, რათა თავიდან ავიცილოთ გამალებული შეიარაღება კოსმოსში და შევწყვიტოთ იგი დედამიწაზე. და დავთქვით კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების საკითხები განვიხილოთ და გადავწყვიტოთ კომპლექსურად, ურთიერთკავშირით, რაც აბსოლუტურად აუცილებელია საქმის წარმატებისათვის. ეს არის ჟენევის მორიგების ძირითადი აზრი. მინდა კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით ვთქვა, რას ვაპირებთ მომავალ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.

პირველი: **არ ვესწრაფვით რაიმე ცალმხრივი უპირატესობის მიღწევას** შეერთებულ შტატებთან, ნატოს ქვეყნებთან შედარებით, სამხედრო უპირატესობას მათთან შედარებით, ჩვენ ეს არ გვჭირდება, ვინაიდან არ ვაპირებთ დავემუქროთ, თავს მოვახვიოთ მათ ჩვენი ნება, არამედ გვსურს ვიცხოვროთ მათთან მშვიდობიანად, გვქონდეს ნორმალური, კეთილი ურთიერთობა.

მეორე: ჩვენ გვსურს **გამალებული შეიარაღების შეწყვეტა; და არა განგრძობა.** სწორედ ამიტომ სსრ კავშირი აყენებს ისეთ, უპირველესი ნაბიჯების საკითხსაც, როგორიც არის მხარეთა ბირთვული არსენალების გაყინვა, რაკეტების შემდგომი განლაგების შეწყვეტა და ა. შ. საწინააღმდეგო მიზნებისათვის — მასობრივი მოსპობის საშუალებათა შემდგომი ზრდისა და განლაგების გამართლებისა და შენიღბვისათვის მოლაპარაკების გამოყენება უზნეო და მანკიერ საქმედ, ხალხების მოტყუებად და მათ წინაშე დანაშაულად მიგვაჩნია.

და მესამე: ჩვენ გვსურს **დაგროვილი შეიარაღების ნამდვილი შემცირება, დასაწყისისათვის მისი მნიშვნელოვანი ნაწილის მოსპობა, და არა შეიარაღების სულ ახალ-ახალი სისტემების შექმნა,** იქნება ეს კოსმოსში თუ დედამიწაზე, შეტევითი თუ თითქოს თავდაცვითი საშუალებანი. ამასთან ჩვენი საბოლოო მიზანია ბირთვული იარაღის სრული მოსპობა ყველგან პლანეტაზე, ბირთვული ომის საფრთხის სრული აღკვეთა.

მხარეების აზრთა სხვადასხვაობა განსახილველ საკითხებზე ახლა დიდია. ეს ყველასათვის ცხადია. ახლა საკმაოდ არის უიმედო პროგნოზები, რომლებიც მოლაპარაკებას წინასწარ უწინასწარმეტყველებენ მარცხს, მაგრამ ჩვენ არ ვიზიარებთ მათ.

მორიგება უაღრესად საჭირო და სავსებით შესაძლებელია. იგი საჭიროა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოს სულ უფრო სწრაფად გააქანებს უფსკრულისაკენ გამალებული შეიარაღება, გაიზრდება ომის საფრთხე.

მორიგება სავსებით შესაძლებელია, რადგან ამისათვის საჭიროა მხოლოდ პატივი ვცეთ ორივე მხარის უფლებებსა და უშიშროების კანონიერ ინტერესებს, არ შევეცადოთ ძალთა შექმნილი წონასწორობის დარღვევას.

ჩვენ მოვუწოდებთ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებს მომავალ მოლაპარაკებას სერიოზულად და პატიოსნად მიუდგნენ. მოვუწოდებთ მათ ხელი აიღონ საბჭოთა კავშირთან შედარებით სამხედრო უპირატესობის მიღწევის უაზრო ვარაუდზე, ჩვენთან „ძალის პოზიციიდან“ მოლაპარაკებაზე. მოვუწოდებთ უარი თქვან ცდებზე, თავს მოგვახვიონ ისეთი შეთანხმება, რომელიც ცალმხრივად შებოჭავს საბჭოთა კავშირს თავდაცვის განმტკიცებაში, მაგრამ ფართოდ გაუღებს კარს ვაშინგტონის მიერ დასახული რეკორდული სამხედრო პროგრამების რეალიზაციას.

ასეთი ცდები სრულიად უპერსპექტივოა. მაგრამ მათ შეუძლიათ ძირი გამოუთხარონ შეთანხმების შესაძლებლობას. მას კი ელიან ჩვენი ქვეყნების ხალხები. ელის ყველა ხალხი, ვისაც სურს მტკიცე მშვიდობა და მოსვენებული, ბედნიერი ცხოვრება.

ამხანაგებო! გამარჯვების მეორმოცე წელი აღგვიძრავს სურვილს კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ომის წლებში განცდილსაც, და იმასაც, რაც იყო მის შემდეგ, პერსპექტივებსაც, რომლებიც ისახება მსოფლიოს წინაშე დღეს.

კოალიციის ქვეყნები, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს ფაშიზმზე, ეკუთვნოდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემას. მაგრამ ისინი მოკავშირეები გახდნენ. მათმა ხელმძღვანელებმა შეძლეს ერთად განესაზღვრათ ომისშემდგომი წყობის საფუძვლები. ეს საფუძვლები აღბეჭდილია თეირანის, იალტის, პოტსდამის დოკუმენტებში. მათი მთავარი აზრი დღესაც აქტუალურია: განვახორციელოთ კაცობრიობის უზენაესი მისწრაფება — დავამყაროთ მტკიცე მშვიდობა. დაისახა ამისაკენ მიმავალი გზაც — შევინარჩუნოთ მიზნებისა და მოქმედების ერთიანობა, რომელმაც საშუალება მოგვცა დაგვეძლია ნაციზმი, გვეხსნა ხალხები ჰიტლერელთა მიერ დამონებისაგან.

შეიძლება თქვან: ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ომი იყო, რომ ჰიტლერიზმი საყოველთაო საშიშროებად იქნა მიჩნეული.

სწორია. მაგრამ ჩვენს დროშიც კაცობრიობას, ყველა ხალხს ჰყავს საერთო საშინელი მტერი — მსოფლიო ბირთვული კატასტროფის საფრთხე.

გაიხსენეთ გასული ათწლეულის მოვლენები. აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა, მათი გამთიშავი სერიოზული წინააღმდეგობების მიუხედავად, შეძლეს გამოევლინათ საჭირო სიმტკიცე და დროის მოთხოვნების გაგება. მათ დიდი ნაბიჯები გადადგეს მყარი მშვიდობის მიმართულებით. თანდათანობით იქმნებოდა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მჭიდრო ქსოვილი, ერთობლივი მეცადინეობით შემუშავდა მშვიდობიანი ურთიერთობის გრძელვადიანი პრინციპები.

ამ პრინციპებს ვპოულობთ დოკუმენტში, რომელმაც დაამკვიდრა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საფუძვლები, მათს შეთანხმებაში ბირთვული ომის თავიდან აცილების შესახებ. ეს პრინციპები ასახა სოციალისტური ქვეყნებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებებმა, რომლებმაც ევროპის ომისშემდგომი რეალობანი დაამკვიდრეს. და ბოლოს, მათ კოლექტიური დადასტურება და განვითარება პოვეს ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტით.

ახლა ისტორია კიდევ უფრო მწვავედ აყენებს კაცობრიობის მომავლის საკითხს, კიდევ უფრო აუცილებელია სახელმწიფოთა ხელმძღვანელების სიმამაცე და გამჭრიახობა.

მე უკვე მითქვამს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოთა დამავალდებულებელ მორიგებას, დაიცვან ერთმანეთთან ურთიერთობაში გარკვეული ნორმები, რათა არ დაუშვან ბირთვული ომის წარმოქმნა. ეს ჩვენი წინადადება კვლავ ძალაში რჩება.

ვფიქრობთ აგრეთვე, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებს, ყველაზე საშინელი და დამანგრეველი ომის დამთავრების ორმოცი წლისთავის აღსანიშნავად, შეუძლიათ ერთობლივად დაადასტურონ, ორივე მხარისათვის შესაფერისი ფორმით, არსი და სულისკვეთება, მთავარი ვალდებულებებისა, ორივე ქვეყანამ რომ იკისრა ომის დამლევსაც და 70-იანი წლების შეთანხმებებშიც. მათ შეუძლიათ განაცხადონ, რომ აპირებენ კვლავაც ამ ვალდებულებათა სულისკვეთებით იმოქმედონ თავიანთ საგარეო პოლიტიკაში. ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობდა ურთიერთნდობის განმტკიცებას, მსოფლიოში ვითარების საერთო გაჯანსაღებას. დარწმუნებული ვარ: ასეთ ერთობლივ აქტს მხარს დაუჭერდა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, ყველა ხალხი.

ამხანაგებო! სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნები ყოველთვის საზეიმო მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ეს მართლაც ზეიმია — სოციალისტური დემოკრატიის ზეიმი. დემოკრატიისა, რომელიც რეალურად, პრაქტიკულად უზრუნველყოფს მილიონობით მშრომელის ფართო, დაინტერესებულ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში.

წინასაარჩევნო კამპანიამ თვალნათლივ ცხადყო მასების მზარდი შეგნებულობა, შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობა. ეს კი, როგორც არაერთხელ აღუნიშნავს ლენინს, ჩვენი წყობილების ძალის უშრეტ წყაროს წარმოადგენს.

ზეგ საბჭოთა მოქალაქენი საარჩევნო უბნებში მივლენ თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკაში. ხმას მისცემენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, ისინი გამოხატავენ თავიანთ მისწრაფებას მშვიდობისადმი, მზადყოფნას, ყოველნაირად განამტკიცონ სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა, ახალი ენერგიით იბრძოლონ შემდგომი სასიკეთო ცვლილებებისათვის ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველ კუთხეში.

ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ სულითა და გულით გადაგიხადოთ მადლობა ნდობისათვის. ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, არ არის იმაზე უფრო სანუკვარი მისწრაფება და დიდი ბედნიერება, ვიდრე მშობლიური ქვეყნის, მშობელი ხალხის თავდადებული სამსახური.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, დიდ წარმატებებს შრომაში, ყველა თქვენს საქმეში!

(შეკრებილებმა სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში არაერთხელ გაისმოდა ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგ ივანე ვასილის ძე კაპიტონოვს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავთ თქვენ, ივანე ვასილის ძევ, დაბადების 70 წელს.

გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობასა და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ი. ვ. კაპიტონოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების 70 წელთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ივანე ვასილის ძე კაპიტონოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ჩერნენკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 22 თებერვალი.



ახალგაზრდა ამომრჩევლებისათვის, რომლებიც ამ დღეებში მოდიან თბილისის № 11 საშუალო სკოლაში განლაგებულ № 28 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში, პედაგოგ-აგიტატორების ძალებით მომზადდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ფართო არჩევანი.

ეს ამომრჩევლებთან მრავალმხრივი მუშაობის ერთ-ერთი სახეა. აქ ეწყობა აგრეთვე საუბრები საბჭოთა საარჩევნო სისტემის შესახებ, ინფორმაციათა ციკლი „არჩევნებიდან არჩევნებამდე“, რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთი „ამომრჩევლის ხმა“.

სურათზე: აგიტატორები ა. ალნიაშვილი, ა. ნოვიკოვა, თ. ვაწაძე და ლ. ჯანგიროვა საქართველოს დედაქალაქის № 28 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტში.

გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სამშობლოს დამცველთა პატივსაცემად

ზეიმით აღინიშნა საქართველოს დედაქალაქმა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 67 წლისთავი. ოფიცერთა სახლის საქტო დარბაზში შეიკრიბნენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და სამმართველოს გენერლები და ოფიცრები, თბილისის გარნიზონის მეომრები.

კრება გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ჯ. რ. კუბალაშვილმა.

შეკრებილმა ამხანაგებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

მოხსენება საბჭოთა შეიარაღებული ძალების სახელოვანი საბრძოლო გზის, ამიერკავკასიელ მეომართა დღევანდელი საბრძოლო სწავლისა და ცხოვრების შესახებ გააკეთა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა ა. თ. ნასტაბურკომ.

საზეიმო კრებას დაესწრნენ ამხანაგები გ. დ. გაბუნია, ბ. ვ. ნიკოლსკი, დ. ლ. ქართველიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. რ. საჯაია; ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ლ. გულევიჩი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი გ. ა. ზგერსკი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი მ. მ. სოცკოვი, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი გ. ა. კუცი, თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე ზ. შ. მესხიშვილი.

კრების შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი. (საქინფორმი).

მდიდარი ის არის, ვინც მომჭირნეა

რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსი მთლიანად უნდა იყოს უზრუნველყოფილი სათბობით, ელექტრო-და თბოენერგიით. ვერც ავდარი, ვერც სხვა მიზეზები ვერ გაამართლებს შეფერხებას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოთა მუშაობაში, პროდუქციის წარმოებაში, სითბოთი და სინათლით საცხოვრებელი სახლების მომარაგებაში. უნდა უზრუნველვყოთ ყველა სახეობის ენერგიის ყაირათიანი ხარჯვა.

სათბობით, ელექტრო-და თბოენერგიით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიული გადაწყვეტის რესპუბლიკური კომისიის მორიგ სხდომაზე განიხილეს სწორედ ამ რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხები.

ამ დღეებში პარტიული ორგანოების ინიციატივით მოწყობილი შემოწმებები, რეიდები, ყაირათიანობის დათვალიერებები ცხადყოფს, რომ ზოგან ამ რესურსებს მფლანგველურად ხარჯავენ. ამას ადასტურებს აგრეთვე „საქმთავარენერგოს“ ენერგოზედამხედველობის მიერ მოწყობილი შემოწმებებიც, მაგალითად რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანაში, საამქროებსა და საქვაბეში არ არის ელექტროენერგიის ხარჯვის მრიცხველები. უქმად ჩართულია ელექტროგანათება. არ არის თვალსაჩინო აგიტაცია, რომელიც მოუწოდებს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის. ქარხნის კოლექტივი არ მონაწილეობს ელექტროენერგიის დაზოგვისათვის გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

რუსთავის ამწესაშენებელ ქარხანაში არ არის მოგვარებული ელექტროენერგიის ხარჯვის აღრიცხვა საამქროების მიხედვით.

როგორც გამოავლინეს ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის სახალხო მეურნეობაში ნავთობპროდუქტების გამოყენებისა და ხარისხისადმი კონტროლის სამმართველოს მუშაკებმა, რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში არ ეწევიან არავითარ მუშაობას მომჭირნეობისათვის, რეისებში გაგზავნილი მანქანების საგზაო ფურცლები სათანადოდ არ არის შევსებული, ამ ფურცლებში ასახული არ არის საერთო მანძილი და გადაზიდული ტვირთის წონა. რვა შემოწმებული ავტომანქანიდან ოთხის სპიდომეტრი არ იყო დალუქული და არ მუშაობდა. არის მსუბუქი ავტომანქანების მიერ საწვავის ლიმიტების გადახარჯვის შემთხვევები.

საგარეჯოს საშენ მასალათა კომბინატში უშვებენ გაზის ზენორმატიულ მოხმარებას. აქ დღემდე არ არის თბოენერგიის გამომუშავების აღმრიცხველი ხელსაწყო, არ არის აირანალიზატორები, წვის ავტომატური რეგულირების მოწყობილობა.

იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომლებმაც დაუშვეს გადახარჯვა, წინადადება მიეცათ განახორციელონ სასწრაფო ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრან სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გადახარჯვა, მოაგვარონ მათი რაციონალური გამოყენება.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ. (საქინფორმი).

სოფლის თვალი

დეპუტატობის კანდიდატი

ვაზი უკვე კარგად იყო შეფოთლილი, მესამედ იწამლებოდა ვენახი. გაფრქვეული ბორდოს ხსნარი ლეჩაქივით ეფინებოდა ვაზს. ქარნაკრავი ღრუბლის ფანტელივით აურბენდა და ჩაურბენდა ვენახის მწკრივებს. შორიდან მხოლოდ შავტუხა ტრაქტორისტის ლალი ოტიაშვილის თავი ჩანდა. ისიც მეგზურივით დასდევდა „ღრუბელს“. ღიღინებდა თავისთვის. ტრაქტორის ხმაში იკარგებოდა მისი ხმა. მაგრამ, თვითონ ხომ ესმოდა, რასაც მღეროდა, სიამოვნებდა. ტრაქტორის მონოტონური გუგუნი კი თითქოს ბანს აძლევდა.

ასეა ყოველთვის, წლის ყოველ დროს ნუკრიანელი გოგონა მოუღლელად შრომობს ზვრებში, დარსა და ავდარში გარჯა არ ეზარება, რითაც სახელი და დიდება მოიპოვა თანატოლებში, მშობლიურ სოფელსა და რაიონში.

ლალი ოტიაშვილს შრომა დაუფასდა, მას ჯერ საქართველოს კომკავშირის XXXII, ხოლო შემდეგ საკავშირო ალკკ XIX ყრილობის დელეგატად ირჩევენ. ყრილობაზე სიტყვაც თქვა.

1979 წელს ლალიმ მექანიზატორთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა, შესატყვისი სამკერდე ნიშანიც დაიმსახურა. მას მიემატა მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედების დამკვრელის, სოფლის მეურნეობის „ფრიადოსნის“ სამკერდე ნიშნები, დაჯილდოვდა ელენე ნატროშვილის, პაშა ანგელინას სახელობის პრიზებით, მიენიჭა საქართველოს კომკავშირის ლაურეატის წოდება.

...სახელს სახელი ემატება, დედმამასაც სიამაყე ეუფლება. ლალი ერთია სოფელში. მაგრამ კარგი საქმე ეულად როდი რჩება. სიღნაღის რაიონს ვარსკვლავებივით დააჩნდა მექანიზატორი გოგონების სახელები. ბოდბისხევში მაია ბიკაშვილი, ტიბაანში ციცინო მენთეშაშვილი, ვაქირში ნელი ვარდიაშვილი ამცნობენ სოფელს, თანატოლებს, რომ „ლექსი ლომისა სწორია“...

აღსრულდა ოცნება მშობლებისა, რა თქმა უნდა, ლალისაც, — უმაღლესში მოეწყო თანაც მექანიზაციის ფაკულტეტზე. ამ ოთხი წლის წინათ კომუნისტური პარტიის წევრიც გახდა.

— ლალი ჩვენი სოფლის თვალია, კოლმეურნეობის მომავალი ინჟინერ-მექანიზატორი— იტყვის ხოლმე კოლმეურნეობის თავმჯდომარე რევაზ ფირაშვილი და ეს ასეცაა. მკლავმოუღლელი ლ. ოტიაშვილი, დაუსწრებლად რომ სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში, იქაც გამოირჩევა დისციპლინით, თავაზიანობით, კარგი სწავლით. პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის კარგი ავტორიტეტით სარგებლობს.

რომ შეაყვარა ლალის ტრაქტორი?

— მეც არ ვიცი რატომ, ბავშვობიდანვე საამაყო, ვაჟკაცურ საქმედ მიმაჩნდა ტრაქტორისტობა. იქნება, იმიტომაც, რომ სოფელში „მათე ბიჭს“ მეძახიან, — გვითხრა ლალიმ. სკოლაშიც მექანიზაციის სექციაზე ჩავეწერე, თანაკლასელ ბიჭებთან — ლეო, თემო, გელა და სოსო ოტიაშვილებთან. ისინი ახლაც მექანიზატორები არიან; ერთ ბრიგადაში ვმუშაობთ, ბრიგადირი ვასიკო ჯანგულაშვილიც ახალგაზრდაა და, ამიტომ ჩვენს ბრიგადას ახალგაზრდულს უწოდებენ. სადაც უფრო ჭირს, კოლმეურნეობის გამგეობა იქ გვგზავნის ხოლმე. ჩვენ ეს არც გვწყინს, პირიქით, სიამოვნებით მივდივართ დავალების შესასრულებლად. კარგ შრომას კარგი ანაზღაურება მოსდევს. მარტო შარშან 201 კალენდარული დღე ვიმუშავე და სამი ათას მანეთზე მეტი ხელფასი მერგო; პრემიები კიდევ სხვაა.

სკოლა რომ დაამთავრა, ატესტატთან ერთად, ტრაქტორის მართვის უფლებაც მისცეს. ლალი მაშინვე ტრაქტორის საჭეს მიუჯდა. ახალთახალი ტრაქტორი ახალგაზრდა კომუნისტმა თამაზ მაზიაშვილმა გადააბარა, თვითონ კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნად აირჩიეს.

...და რა გასაკვირია, რომ ყოველივე ამის შემდეგ ნუკრიანელმა მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 205 სიღნაღის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლალი ვალიკოს ასული ოტიაშვილი დაასახელეს.

ლალის გზა, არჩევანი თანამედროვე ცხოვრების შესატყვისია, თანამედროვეობისა, როცა ტექნიკა ბევრ რამეს წყვეტს, გავა წლები, ვარსკვლავს ვარსკვლავი მიემატება, ლალი კი იტყვის თავის თანატოლებში — შრომაა ყველა სიკეთის სათავეო.

ვლ. მჭედლიშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ლალი ოტიაშვილი.

მ. მართაშვილის ნახატი.

მშვიდობისა და მეგობრობის ცისფერი გზებით

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემების ეკიპაჟები აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა ნავსადგურებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ნავსადგურების კოლექტივებთან გაშლილ ინტერნაციონალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

შარშან მაღალ შედეგებს მიაღწიეს თბომავლების „მხატვარ თოიძის“, „ფილიპე მახარაძის“, „ნიკოლოზ კურჩენკოს“, „გენერალ მერკვილაძის“, „ვასილ კიკვიძის“, „ხერსონის“, „ალექსანდრე წულუკიძის“, „მხატვარ გერასიმოვის“ ეკიპაჟებმა, ფოთის, ბათუმისა და სოხუმის ნავსადგურების, სანაოსნოს სხვა ქვეგანაყოფების კოლექტივებმა.

1984 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით სანაოსნოს კოლექტივს გადაეცა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. ეს წარმატება ზღვის მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობისა და ინიციატივის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის შედეგია.

შარშან სანაოსნოს კოლექტივის მიერ ნაკისრი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები წარმატებით შესრულდა. გადაჭარბებით შეასრულეს ხორცი ტვირთზიდვის, კაბოტაჟისა და ნავსადგურებში ტვირთის დამუშავების წლიურ გეგმებსა და ვალდებულებებს. სანაოსნოში შემუშავებულია და დანერგილია სისტემა, რომლის მიზანია გაზარდოს მუშაკთა პასუხისმგებლობა და დაინტერესება შრომის ნაყოფიერების გადიდებით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, წარმოებს მიზანდასახული მუშაობა მასალებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვისათვის. წლიწადში მეზღვაურებმა დაზოგეს დაახლოებით ორი ათასი ტონა სათბობი და 1670 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ბათუმის მეზღვაურთა კლუბში გამართულ საზეიმო კრებაზე სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრის მოადგილემ ბ. პ. ტრუნოვმა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტროს და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადასცა სანაოსნოს წარმომადგენლებს.

მეზღვაურებს საპატიო ჯილდო მიულოცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგემ გ. გ. ბარსუკოვმა. (საქინფორმი).

ვამრავლოთ მიღწეული

თითქმის თორმეტნახევარი ათასი მძიმეწონიანი შემადგენლობა გაატარეს შარშან ამიერკავკასიის ფოლადის მაგისტრალების მოწინავე მემანქანეებმა, ნორმის გადაჭარბებით გადაზიდეს ხუთ მილიონ ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი. რკინიგზის მშრომელებმა დაძლიეს წინა წლებში დაშვებული ჩამორჩენა და ახლა გადაწყვეტილი აქვთ განამტკიცონ და ამრავლონ მიღწეული.

1984 წელს მრავალათასიანი კოლექტივის მუშაობის შედეგების განხილვისა და ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის საწარმოო საქმიანობის მთავარი ამოცანების დასახვას მიეძღვნა ამიერკავკასიის რკინიგზის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თბილისში გამართული კრება.

კრებაზე გამოვიდნენ რკინიგზის უფროსი ლ. გ. ვარდოსანიძე, სხვა ორატორები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ შარშან რკინიგზელთა დამკვრელურმა მუშაობამ მტკიცე ბაზა შეუქმნა წელს მაღალეფექტიან საქმიანობას.

ამავე დროს, აღინიშნა აქტივის კრებაზე, მაგისტრალის კოლექტივების წინაშე მთელი რიგი რთული საკითხები დგას. ეს არის, კერძოდ, ვაგონების ჯერ კიდევ ძალზე ხშირი მოცდენა, მთელი რიგი ობიექტების გაჭიანურებული რეკონსტრუქცია და მშენებლობა.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ა. ანჩაბაძე. (საქინფორმი).

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
1985 წლის 23 თებერვალი № 42 ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო საბჭოთა შეიარაღებული ძალების ვეტერანებო!

დღეს საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 67-ე წლისთავს.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა, კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილმა სსრ კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა სახელოვანი საბრძოლო გზა განვლეს: სამოქალაქო ომის გაჩაღებულ ბრძოლებში მათ დაიცვეს ოქტომბრის რევოლუციური მონაპოვრები. დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიცვეს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ჰიტლერულ გერმანიასა და მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვებაში, ევროპის ხალხთა ფაშისტური მონობისაგან ევროპის ხალხთა განთავისუფლებაში, ღირსეულად მოიხადეს თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი.

წელს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე აღინიშნება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრების მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია სკკპ XXVII ყრილობისათვის, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისათვის მზადებით. ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება 1985 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. მშრომელები მთელ მეცადინეობას ახმარენ ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას, შრომის ნაყოფიერების ზრდას. წარმოების ინტენსიფიკაციას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მატერიალური რესურსების ყაირათიან და რაციონალურ ხარჯვას, განუხრელად მაღლდება ხალხის ცხოვრების დონე და კულტურა.

საბჭოთა კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის მოძმე ქვეყნები თანამიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია ბირთვული ომის საფრთხის აღმოფხვრა, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ნატოელი მოკავშირეების აგრესიული იმპერიალისტური ძალების მიზეზით ვითარება მსოფლიოში კვლავ დაძაბულია. ამ პირობებში სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისა და მაღალი სიფხიზლის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდისათვის.

სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული არმიისა და ფლოტის. მეომრები დაუცხრომლად სრულყოფენ საბრძოლო ოსტატობას, საიმედოდ დგანან ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმიდა მიჯნების სადარაჯოზე. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მეომრებთან ერთიან საბრძოლო მწყობრში ისინი ღირსეულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას — იცავენ სოციალიზმის მონაპოვრებს.

ამხანაგო არმიისა და ფლოტის მეომრებო!

ამხანაგო შეიარაღებული ძალების ვეტერანებო!

გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს!

ვუსურვებ შეიარაღებული ძალების მთელ პირად შემადგენლობას შემდგომ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში!

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 67-ე წლისთავის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

1985 წლის 23 თებერვალს 21 საათზე ადგილობრივი დროით მოეწყოს სადღესასწაულო ფოიერვერკი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში, [illegible], ვოლგოგრადში, ოდესაში, სევასტოპოლში, [illegible], ტულაში, გმირ ციხესიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ქალაქებში კალინინგრადში, ლვოვში, დონის როსტოვში, კუიბიშევში, სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ჩიტაში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და სევეროგორსკში.

გაუმარჯოს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 67-ე წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი
ს. სოკოლოვი.

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

ჩვენ, ახლანდელ თაობას, გვაკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა — არ დავუშვათ ახალი მსოფლიო ხანძარი, ვიხსნათ სიცოცხლე პლანეტაზე.

კ. უ. ჩერნენკო.

იმის თაობაზე, რომ მრავალკილომეტრიანი გზა მოელოდათ დათოვლილ მთა-ბარში და გზის ბოლოს პოლიგონზე სუსხიან ქარში, მეზენიტეებს სასწავლო-საბრძოლო სროლა ექნებოდათ მცირე ზომის საჰაერო სამიზნეებზე, არაფერი იცოდნენ არც საზენიტო ბატარიის მეთაურმა კაპიტანმა ვ. ფილიპოვმა და არც მისმა უახლოესმა თანაშემწეებმა — სერჟანტმა გ. ვადაჭკორიამ და უმცროსმა სერჟანტმა დ. თეთემაძემ. მაგრამ ზამთრის საბრძოლო წვრთნის პირველი დღეებიდანვე ისინი დაძაბულად ემზადებოდნენ ნებისმიერი რთული ამოცანების შესასრულებლად.

და აი, უკან დარჩა უღელტეხილები, კოლონა სწრაფად დაეშვა ველზე. საჰაერო „მოწინააღმდეგის" მოგერიების ბრძანება ყოველ წუთს შეიძლება მოვიდეს, ამიტომ მეზენიტეები ფხიზლად არიან. გათვალისწინებულ რაიონში ქვეგანაყოფი ნავარაუდევ ვადაზე ადრე მივიდა და საჰაერო ბრძოლისთვისაც მოემზადა.

პოლიგონზე დაიწყო სროლა, რომელმაც უნდა დაადგინოს საარმიო კოლექტივის საბრძოლო შრომა, გვიჩვენოს, რამდენად მზად არიან ისინი სამშობლოს ნებისმიერი ბრძანების შესასრულებლად.

— არის მიზანი! — მოახსენებს მსროლელს დაზვერვისა და მიზნის მიცემის სადგურის ოპერატორი, უმცროსი სერჟანტი ა. მარემშაევი. იგი პირველი კლასის სპეციალისტია, მიზანი მაქსიმალურად შორს შენიშნა და სწრაფად აცნობა მისი კოორდინატები ოფიცერს — სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ხელმძღვანელს.

— ამოცანას ასრულებენ სერჟანტ ვადაჭკორიას და უმცროსი სერჟანტის თეთემაძის ჯგუფეულები, მეთვალთვალემ მიკროფონი დადო, მეკავშირისკენ შებრუნდა და თქვა: „ჩასათვლელი ვარჯიშები მათ ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებებში ფრიადზე შეასრულეს. ვფიქრობ, არც ამჯერად შეგვარცხვენენ".

სროლის ხელმძღვანელის ვარაუდი გამართლდა. მეომრები სწრაფად მოქმედებდნენ, საიმედოდ მუშაობდა ტექნიკაც, რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ. ერთი სიტყვით, საჰაერო მიზანს მეზენიტეებმა ფილიგრანული სიზუსტით მოარტყეს და გათვალისწინებულ მიჯნაზე მოსპეს.

თავბრუდამხვევი სისწრაფით მიმდინარეობს ბრძოლა. პოლიგონს ზებგერითი სიჩქარით გადაუარეს ბომბდამშენმა ავიაგამანადგურებლებმა და ტყვიისფერ ღრუბლებში მიიმალნენ. აბა, სცადე და გამოიცან, რა მორიგ ტაქტიკურ ეშმაკობას მიმართავს „მოწინააღმდეგე". თავისუფალ წუთებში მეზენიტეებს ვეკითხებით, ვცდილობთ გავერკვეთ, რას გრძნობდნენ ისინი უდიდესი დაძაბვის მომენტში.

— არ გვიღელვია. იმდენჯერ ვყოფილვართ საწვრთნელ ბრძოლაში, რომ აღარც კი გვჯეროდა, რომ ეს უკვე ვარჯიში კი არა, ნამდვილი საბრძოლო სროლაა, — გვითხრა ბათუმის მანქანათსაშენებელი ტექნიკუმის კურსდამთავრებულმა, სერჟანტმა ვადაჭკორიამ. თუმცა, იგივეს ამბობდნენ მისი ამხანაგები, რომლებიც საწვრთნელ-საბრძოლო სროლაში მონაწილეობდნენ.

მაგრამ ჩვენ დავრწმუნდით: მეზენიტეებს ტრაბახი არ უყვართ. ესაუბრები, ისინი კი, ვითომ არაფერიაო, სხვათა შორის გვეუბნებიან: დიახ, სამიზნე ჩამოვაგდეთ, დიახ, სნაიპერულად. ამ თავდაბლობით მათ ფრონტელები გამახსენეს.

ჩვენი ცის მუშაკები

ცხადია, ამხანაგების რწმენა უნდა გქონდეს, უნდა გჯეროდეს მატერიალური ნაწილის საიმედოობა იმისთვის, რომ ასე მშვიდად თქვა, პირველი გაშვებით ჩამოვაგდეთ, მაშ როგორ?!

კაპიტან ვ. ფილიპოვის საზენიტო ბატარეაში, რომელიც, ბარემ ესეც ვთქვათ, ერთ-ერთი საუკეთესოა ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქში, სერჟანტმა გ. ვადაჭკორიამ ერთ წელზე მეტი იმსახურა. ამ ხნის მანძილზე მან სრულყოფილად აითვისა საბრძოლო ტექნიკა, გასაშვები დანადგარის მეთაური და პირველი კლასის სპეციალისტი გახდა. მას, კომკავშირულ აქტივისტს, არაერთხელ მიუღია მონაწილეობა მინდვრად ტაქტიკურ მეცადინეობაში და მოვალეობებს ყოველთვის სანიმუშოდ ართმევდა თავს. მისი საბრძოლო სამსახური აღინიშნა „საბჭოთა არმიის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით, „საპატიო სიგელით" და სხვა წახალისებებით.

— ჩვენ უფლება არა გვაქვს თავდადებით არ მოვეკიდოთ საქმეს, — თქვა კომკავშირის კრებაზე სასწავლო ამოცანის შესრულების წინ ახალგაზრდა ლატვიელმა რიგითმა ჯარისკაცმა რ. ბარკაუსკასმა: იგი მხედრულ საჩუქარს უმზადებს დიადი გამარჯვების 40 წლისთავს და პირველი კლასის მექანიკოს-მძღოლის უზბეკი რიგითი ჯარისკაცის ბ. რახიმჯანოვის დახმარებით აითვისა თავისი სპეციალობა, დაიმსახურა უფლება დამოუკიდებლად ჩაეტარებინა საბრძოლო მორიგეობა. შემდეგ წარმატებით დაეუფლა მომიჯნავე საბრძოლო პროფესიასაც. პოლიგონზე, სხვათა შორის, მეთაურის ბრძანებით ერთსაც აკეთებენ და მეორესაც.

საბრძოლო სპეციალობებს მეზენიტეები იოლად როდი ეუფლებიან. ერთხელ ერთ-ერთ პირველ ვარჯიშზე ჯგუფეული თავის შესაძლებლობებზე უარესად მოქმედებდა.

— ეჰ, შეჯიბრებაში პირველი ადგილის იმედი ნუ გექნებათ, — გულისტკენით თქვა რიგითმა ი. სვატკოვმა.

— ახლა ოხვრა-კვნესა კი არა, ახლებურად მუშაობაა საჭირო, როგორც მეთაურობა მოითხოვს, — თქვა შედეგების შეჯამებისას სერჟანტმა ვადაჭკორიამ.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეზენიტეებმა მონაწილეობა მიიღეს კომპლექსურ ვარჯიშში, რომელიც ბატარიის ისტორიაში „ნორმატივზე იერიშის" სახელწოდებით შევიდა. ეს იყო ნამდვილი ბრძოლა ჯიუტ, ურჩ წამებთან. სტენდზე გამოჩნდა საბრძოლო ფურცლები, რომლებშიც ძუნწი ცნობებით იტყობინებოდნენ, „ნორმატივი ხუთი პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა", „არის ურთიერთშეცვლა", „სტაბილური შედეგების გზით".

პოლიგონზე გასაშვები დანადგარის ჯგუფეულებს სულ ოფლს ადენენ. ავიღო, თუნდაც, საცეცხლე პოზიციის მრავალგზისი გამოცვლა. ანდა, ტექნიკის მომზადება პირველად, მერე ვთქვათ, მეშვიდედ, მეათედ, როცა ძანცი გაქვს გაწყვეტილი. ნორმატივი კი ნორმატივია. ოპერაციების სისწრაფისა და სიზუსტის მოთხოვნა იმაზე ხომ ვერ იქნება დამოკიდებული, თუ რამდენჯერ შეასრულა ჯგუფეულმა ვარჯიში.

ერთბაშად არა, მაგრამ ბოლოს მაინც ყველამ წარმატებით დაძლია ეს ამოცანა. ვარჯიშის დროს ყოველ ხერხს ხვეწდნენ, წამობით ზომავდნენ ყოველ ოპერაციას.

და აი, ვინ მიაღწევს პირველი სანუკვარ მიჯნას, ვისი მხედრული საჩუქარი იქნება პარტიის XXVII ყრილობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი? ჯგუფეულებს შორის გაჩაღდა შეჯიბრება. პოლიგონზე სხვებზე სწრაფად შეასრულა ნორმატივი სერჟანტ გ. ვადაჭკორიას ჯგუფეულმა. მას კვალში ედგა უმცროსი სერჟანტი დ. თეთემაძე თავისი „რაზმეულით". პოლიგონზე ისინი ტოლს არ უდებენ ერთმანეთს.

პოდპოლკოვნიკი
ლ. კრივენკოვი.

უ დ რ ე კ ი დ ა ლ ე გ ე ნ დ ა რ უ ლ ი

გენერალ-ლეიტენანტი
ვ. ლ. გულევიჩი,
ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტგანყოფილების უფროსი

დღეს მთელი ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი, შეიარაღებული ძალების მეომრები, პლანეტის ყველა პროგრესული ადამიანი აღნიშნავენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 67 წლისთავს. ეს დღესასწაული აღინიშნება არნახული პოლიტიკური, შრომითი, შემოქმედებითი აქტიურობის ვითარებაში, რომელიც გამოიწვია დიადი გამარჯვების 40 წლისთავისათვის, სკკპ XXVII ყრილობისათვის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებამ. პატრიოტულ აღმავლობას კიდევ უფრო აძლიერებს და განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების ისტორიული წინასწარმდასახულობების, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს სიტყვებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების წარმატებით შესრულება.

თავის შექმნასა და შემდგომ განვითარებას ჩვენი არმია და ფლოტი უნდა უმადლოდნენ კომუნისტურ პარტიასა და მის ფუძემდებელს ვლადიმერ ილიას ძე ლენინს.

დიდი ოქტომბრის გამარჯვებისთანავე ახალგაზრდა, მოუმაგრებელი საბჭოების რესპუბლიკის წინააღმდეგ გაერთიანებული ფრონტით გამოვიდნენ მსოფლიო იმპერიალიზმი და ბოლომოუღებელი შინაური კონტრრევოლუცია. უაღრესად საჭირო გახდა ძლიერი არმიის შექმნა და ლენინის ნებით, პარტიის ნებით ასეთი არმია შეიქმნა. მის ბირთვს შეადგენდნენ ბოლშევიკი ლენინელები, წითელგვარდიელები, მოხალისე მუშები და გლეხები, ძველი არმიისა და ფლოტის რევოლუციური ჯარისკაცები და მეზღვაურები. დეკრეტმოწოდებაში „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!" დაისახა ამოცანა მკერდით დაეცვათ სოციალისტური რესპუბლიკა, ყოველ მხრივი დახმარება გაეწიათ წითელი არმიისათვის, რომელიც იქმნებოდა. ამ ლენინური მოწოდების პასუხად მთელ ქვეყანაში დაიწყო მშრომელთა მასობრივი შესვლა წითელი არმიის რიგებში.

მასობრივი აღმავლობისა და სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მშრომელთა საყოველთაო მობილიზაციის, დამპყრობლებისადმი წითელი არმიის რაზმების გმირული წინააღმდეგობის აღსანიშნავად 1918 წლის 23 თებერვალი ყოველწლიურად აღინიშნება, როგორც საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე.

სამოქალაქო ომის დროს ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით მომწიფდა და განმტკიცდა პროლეტარული სახელმწიფოს პრინციპულად ახალი სამხედრო ხელოვნება, შეიქმნა სამხედრო საქმის ორგანიზატორების — მეთაურებისა და კომისრების, ჩვენი შესანიშნავი მხედართმთავრებისა და მხედართუფროსების ჩინებული კადრები. პარტიამ ხალხის მთელი ძალები დარაზმა მტრის გასანადგურებლად. მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი იყო პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის ნამდვილად უმაღლესი ორგანო. წითელ არმიაში გაიგზავნა კომუნისტთა საუკეთესო კადრები. ომის დასასრულისათვის მის რიგებში იმყოფებოდა სამასი ათასი პარტიის წევრი, ანუ მთელი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ასეთი იყო დასაწყისი. ძნელი, მაგრამ ძლევამოსილი. მიუხედავად ამისა, ჩვენი მტრები არ კარგავდნენ იმედს, რომ შეასუსტებდნენ ან მოსპობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს. 1929 წლის ზაფხულში ჩინელი მილიტარისტები შეეცადნენ ჩვენი ქვეყანა ჩაეთრიათ შეიარაღებულ კონფლიქტში მორეულ აღმოსავლეთში. 1938 წლის აგვისტოში ხასანის ტბის რაიონში, ხოლო ერთი წლის შემდეგ მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში ამასვე შეეცადნენ იაპონელი მილიტარისტებიც. პროვოკაციები ძირფესვიანად ძირშივე აღიკვეთა. ჩაუდგა რა სათავეში სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის მშრომელთა ბრძოლას, პარტია უდიდეს მუშაობას ეწეოდა ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების, მისი პირმშოს — შეიარაღებული ძალების განმტკიცებისთვისაც.

როცა ფაშისტური გერმანია ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს, საბჭოთა არმია ჩაება ბრძოლაში ისეთ უდიდეს არმიასთან, როგორიც არც ერთ სახელმწიფოს და არც ერთ კოალიციას არ გაუგზავნია თავის მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად.

ბრძოლიდან ბრძოლამდე იზრდებოდა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დარტყმების ძალა, განხორციელდა ათობით უდიდესი სტრატეგიული ოპერაცია. ომების ისტორიაში საბჭოთა სამხედრო ხელოვნების მკაფიო ნიმუშად შევა სამუდამოდ მოსკოვთან ბრძოლა, ლენინგრადის, ოდესის, სევასტოპოლის დაცვა, სტალინგრადის გმირული ეპოპეა, კავკასიისათვის ბრძოლა, ბრძოლა კურსკის რკალზე, კორსუნ-შევჩენკოვსკისა და ბელორუსიის ოპერაციები, ბერლინზე მიტანილი იერიში და მრავალი სხვა. საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დაიცვეს სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, დაიცვეს ოქტომბრის საქმე. მათ გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ფაშისტურ გერმანიასა და მის მოკავშირეებზე გამარჯვებაში, ფაშისტური დამონებისაგან ევროპის ხალხების განთავისუფლებაში, მსოფლიოს ცივილიზაციის ხსნაში, ღირსეულად მოიხადეს პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი. ეს არის მათი უდიდესი დამსახურება კაცობრიობის წინაშე.

გამარჯვების ერთ-ერთი გადამწყვეტი წყარო იყო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ მებრძოლ პარტიას. ომის დასასრულისათვის მისი შემადგენლობის დაახლოებით 60 პროცენტი მოქმედ არმიაში იმყოფებოდა. კომუნისტი იყო ყოველი მეოთხე სამხედრო მოსამსახურე.

და დღეს დიდი სამამულო ომის გაკვეთილებს წარუვალი მნიშვნელობა აქვთ. მთავარი მათგანი, აღნიშნულია დიადი გამარჯვების 40 წლისთავის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, ის არის, რომ ომის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, სანამ იგი დაიწყება. ამ ბრძოლაში, მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფაში, ახალი ბირთვული ომის თავიდან აცილებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბჭოთა შეიარაღებული ძალები. სწორედ მათი ძლიერება, მათი მაღალი საბრძოლო მზადყოფნა არის იმპერიალიზმის აგრესიული მისწრაფებების შემაკავებელი ფაქტორი. სოციალიზმის, მსოფლიო სისტემის შექმნის დროიდან განვითარდა მათი საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებაც, როგორიც არის მოძმე არმიებთან ერთად მთელი სოციალისტური თანამეგობრობის უშიშროების უზრუნველყოფა.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 67 წლისთავს საბჭოთა მეომრები, მათ შორის ამიერკავკასიელი მეომრები ხვდებიან ახალი მიღწევებით მხედრულ შრომაში, სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განუხრელად განამტკიცონ საბრძოლო მზადყოფნა, დისციპლინა და ორგანიზებულობა, აამაღლონ პოლიტიკური და სამხედრო სიფხიზლე. „დიადი გამარჯვების 40 წლისთავს, სკკპ XXVII ყრილობას — ჩვენი თავდადებული მხედრული შრომა!" — ასეთია მათი ცხოვრებისა და სამსახურის დევიზი. (საქინფორმი).

კომუნისტი



აი, რას წერდა 40 წლის წინათ

1945 წლის 23 თებერვალი

◆ **დიდი ლენინის** მიერ უცხოელ დამპყრობთა თავდასხმისაგან ჩვენი სამშობლოს დასაცავად შექმნილმა და ბოლშევიკური პარტიის მიერ გამოზრდილმა წითელმა არმიამ თავისი განვითარების სახელოვანი გზა განვლო. მან ღირსეულად გაამართლა თავისი ისტორიული დანიშნულება.

◆ **წითელი არმიის** 27-ე წლისთავს ჩვენ ახლა ვეგებებით მტერზე ახალ ისტორიულ გამარჯვებათა ვითარებაში. წითელმა არმიამ არა მარტო გაათავისუფლა ჰიტლერული სიბილწისაგან მშობლიური მიწა-წყალი, არამედ მრავალი ასეული კილომეტრითაც უკუაგდო მტერი იმ ზღუდეებიდან, რომლებიდანაც გერმანელები ავაზაკურად დაესხნენ თავს ჩვენს ქვეყანას, ომი გადაიტანა გერმანიის ტერიტორიაზე და ახლა წარმატებით ანადგურებს მას.

— ◆ **ვბრძანებ:**

დღეს, 23 თებერვალს, წითელი არმიის 27-ე წლისთავის დღეს 20 საათზე მიცემულ იქნეს სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, პეტროზავოდსკში, ტალინში, რიგაში, ვილნიუსში, კიშინიოვში, თბილისში, სტალინგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, ლვოვში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობი ს ა თ ვ ი ს ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი.

◆ **არც ერთ არმიას** არ შეეძლო შეეჩერებინა გაცოფებულ ფაშისტთა ურდოები. და მხოლოდ ძლევამოსილმა გმირმა წითელმა არმიამ, განმათავისუფლებელმა არმიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი ორგანიზატორი და სტრატეგი სტალინი, არა მარტო შეაჩერა ეს ურდოები, არამედ კიდევაც უკუაგდო ისინი მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის კედლებიდან... გენერალ-მაიორი **ლიუბოდრაგ ჯურიჩი**, გაზეთი „გლასი", ბელგრადი, იუგოსლავია.

◆ **ავსტრალიის** პრემიერ-მინისტრმა კერტენმა განკარგულება გასცა — 23 თებერვალს წითელი არმიის პატივსაცემად ბაირაღები აღმართონ ყველა საზოგადოებრივ შენობაზე.

დიდი და მძიმე გზა

ნახევარი ევროპა გაიარა, 1418 ცეცხლოვანი დღე და ღამე განვლო მამაცმა აფხაზმა ოფიცერმა, რომ ნანატრ გამარჯვების დღეს შეხვედროდა. სვირსკის გვარდიულმა მსროლელმა დივიზიამ, რომლის მეთაურის მოადგილედ 1944 წლის დეკემბრიდან ხასან ლაგუსტანის ძე ხარაზია იყო დანიშნული, სხვა საბჭოთა ჯარებთან ერთად ავსტრიის დედაქალაქ ვენის განთავისუფლების შემდეგ ახალი ბრძანება მიიღო: დივიზიას რთულ პირობებში სწრაფად უნდა გადაელახა აღმოსავლეთ ალპების ტყიანი მთები და გათენებისას მიეღწია ობერ-ტრისტინგის მთამდე, სადაც ვენის დამცველი ჯარების გასაძლიერებლად გადმოსროლილი ჰიტლერელთა საჰაერო დესანტის ნაწილებისათვის უნდა შეეტია.

ღამით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს თავდასხმისათვის საწყისი პოზიციები, დილით კი დაზვერვამ მეთაურობას მოახსენა მოწინააღმდეგის უცნაური საქციელის შესახებ. თუ აქამდე მტერი სრულყოფდა თავის დაცვას, ახლა რაღაც გაუგებარ გადაადგილებებს ახდენდა. დაცვის ზურგში აფეთქების ხმები გაისმოდა. მალე ნათელი გახდა, რომ მტერი უკან იხევდა, აფეთქებდა ხიდებს, უხნებს, ნაღმავდა ყველაფერს თავის გზაზე.

დღე-ღამის განმავლობაში მისდევდნენ მტერს დივიზიის ნაწილები, მაგრამ მტერი ისე გარბოდა, მისი დაწევა შეუძლებელი შეიქნა.

9 მაისს ღამით ხასან ხარაზიამ და მისმა ამხანაგებმა და მებრძოლებმა რადიოთი მოისმინეს სასიხარულო და ნანატრი ცნობა — ფაშისტურმა გერმანიამ უსიტყვო კაპიტულაცია მოახდინაო. მაგრამ ომი გვარდიული დივიზიის ნაწილებისათვის ჯერ კიდევ არც დამთავრებულიყო. 10 მაისს განთიადისას განახლდა უკან დახეული მოწინააღმდეგის დევნა. შუადღისათვის დივიზიის ნაწილები ჩეხოსლოვაკიის საზღვრებს მიადგნენ, სადაც ფაშისტები შეეცადნენ წინააღმდეგობა გაეწიათ, მაგრამ ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ მათ კვლავ უკან მოქუსლეს. მტერს დადევნებული დივიზია ქალაქ ვოდნიანონეტოლიცის მიდამოებში ამერიკელთა ქვეითი დივიზიის ნაწილებს შეხვდა.

დიდი საბრძოლო გზა განვლო ხასან ხარაზიამ. იგი კადრის ოფიცერი იყო. მეთაურობდა პოლკს, ბრიგადას, დივიზიას. აქტიურად მონაწილეობდა მძიმე ბრძოლებში მოსკოვთან, სტალინგრადთან, სამხრეთ კარელიაში, ფაშისტებისაგან ათავისუფლებდა უნგრეთის, ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის მიწა-წყალს. ბედმა ისე ინება, რომ მას მოუხდა სხვადასხვა გვარეობის ჯარებში მუშაობა — კავალერიაში, მექანიზე ბ უ ლ, მსროლელ და საჰაერო-სადესანტო ჯარებსა და შენაერთებში. ყველგან და ყოველთვის კომუნისტი ხასან ხარაზია ცდილობდა შეესრულებინა თავისი წმინდა მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

ომის შემდეგ ხ. ხარაზია მუშაობდა უნგრეთში, შემდეგ კიევის სამხედრო ოლქში. 1947 წელს გვარდიის პოლკოვნიკი ხარაზია დაინიშნა შორეულ აღმოსავლეთის საჰაერო-სადესანტო ჯარებში. 1949 წლის ნოემბერში კი იგი სასწავლებლად გაგზავნეს კ. ვ. ვოროშილოვის სახელობის შეიარაღებული ჯარების გენერალური შტაბის აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ს ა მ ხ ე დ რო მეთაურად, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის არმიის მეთაურის მოადგილედ.

1960 წლის სექტემბრიდან გენერალ-მაიორი ხ. ხარაზია ერთ-ერთი სამხედრო ოლქის ჯარების მეთაურის მოადგილეა. 1967 წელს მას მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

სამშობლომ დიდად დააფასა პირველი აფხაზი გენერლის საბრძოლო დამსახურებანი: იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ოთხი წითელი დროშის ორდენით, III ხარისხის სუვოროვის, I ხარისხის სამამულო ომის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით, 15 მედლით. იგი დაჯილდოებულია აგრეთვე ამერიკის ლეგიონის ხარისხის ორდენით — „დამსახურებისათვის".

გენერალი ხარაზია კვლავ მწყობრშია, ცხოვრობს, შრომობს და თავის მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეს.

ლ. დოლიძე.

მამები შვილები

წელს სამოცდამეშვიდეჯერ აღინიშნება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე. ჩვენმა მამებმა დიდების შარავანდედით შემოსეს მშობლიური ქვეყნის საბრძოლო დროშები და კვლავინდებურად აღმავლობის ვითარებაში ხვდებიან ამ დღესასწაულს; შვილები კი — ახალგაზრდა მეომრები სავლე და საჰაერო წრთობის დონის, სიფხიზლისა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებით. **სურათზე:** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქი. გვარდიის უფროსი ლეიტენანტი პაველ გლუხოვი მეცადინეობის დროს.

საქართველოს სსრ. ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის ცნობილი ე. დოლმატოვსკისა და ო. ფელცმანის სიმღერა „ახსოვთ ადამიანებს". ლექსი დაიწერა იმ ლეგენდის შთაბეჭდილებით, რომელიც პოეტს ქვეყანაში ერთ-ერთი მოგზაურობის დროს უამბეს. მაგრამ ლეგენდა სინამდვილე აღმოჩნდა.

«На земле многострадальной белорусской
Наш разведчик в руки ворогу попался.
Был захвачен он, когда тропинкой узкой
В партизанские районы пробирался.
Был он смуглый, черноглазый,
чернобровый,
Он из Грузии ушел в поход суровый...»

სიმღერად ქცეული კაცი

...1941 წლის აგვისტოში 67-ე კავალერისტთა პოლკის გადარჩენილი ნაწილები ცდილობდნენ გაერღვიათ ალყა. მებრძოლ გიორგი ჯაფარიძეს ზურგჩანთაში ედო ორი ალისფერი ტილო — ნაწილის საბრძოლო და ომამდე ცოტა ხნით ადრე მიღებული საჯილდოო დროშები. როცა იძულებული გახდნენ პატარ-პატარა ჯგუფებად დაყოფილიყვნენ, მეთაურმა ახალგაზრდა მეომარს უბრძანა, სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაიცვი და დროშები უბეში შეინახეო.

ბელორუსიის ერთ-ერთი სოფლის მახლობლად გიორგი ჯაფარიძე ჰიტლერელთა პატრულმა დააკავა. სოფელში რომ შევიდნენ, გიორგის ერთი დედაკაცი მივარდა: „ეს ჩემი ძმაა! რა გინდათ, თავი დაანებეთ, ჩემი ძმაა!" ასე გადარჩნენ ჯარისკაციც და მისი ნაწილის წმიდათაწმიდა საბრძოლო დროშებიც.

გიორგი ჯაფარიძემ, როგორც იქნა, თავისიანებთან გააღწია. შემდეგ იყო სტალინგრადი, დნეპრის გადალახვა, მძიმედაც დაიჭრა. და როცა დემობილიზაცია მოხდა, იგი მაიორი იყო. ომის შემდეგ დიდხანს, მაგრამ ამაოდ ეძებდა თავის მხსნელს.

ამჟამად გიორგი ვასილის ძე ჯაფარიძე — ლეგენდად ქცეული კაცი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტია, დიდ სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას ეწევა.

სურათზე: თანაპოლკელი მეგობრები (მარცხნიდან) — გადამდგარი გვარდიის პოლკოვნიკი ვიქტორ გრიგოლის ძე კოლესოვი, გადამდგარი გვარდიის მაიორი გიორგი ვასილის ძე ჯაფარიძე, გადამდგარი მედიცინის სამსახურის გვარდიის პოდპოლკოვნიკი აკაკი ალექსანდრეს ძე გეგეშიძე.

ბ. შარაშენიძის ფოტო. (საქდესის ფოტოქრონიკა).

დოკუმენტური ეკრანი მოგვითხრობს

მხედართმთავრის კინობიოგრაფია

რატომ ხდება, რომ ცნობილ, საჩინო ადამიანთა ბიოგრაფიისა თუ მოგონებათა წიგნებს უმალ აიტაცებს მკითხველი და ისინი სულ მოკლე ხანში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცევიან ხოლმე? უკვე ხუთჯერ გამოიცა (და საკმაოდ შთამბეჭდავი ტირაჟითაც) მარშალ გიორგი ჟუკოვის წიგნი „მოგონებები და ფიქრები", ითარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა და უცხოურ ენებზე. და მაინც არ შენელებულა მისდამი მკითხველის, შეიძლება ითქვას, მტერ-მოყვრის ინტერესი. ეს კი, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია თავად ავტორის მიერ განვლილი დროის, ისტორიის ქარტეხილებთან დაკავშირებული ცხოვრებისეული გზით, დიდი მხედართმთავრის ნაფიქრალ-ნააზრევის სიღრმითა და მნიშვნელობით. და იმითაც, რომ მართლა იშვიათად ჩნდება წიგნის თაროზე ბიოგრაფიულ-მემუარული ლიტერატურა... კიდევ უფრო იშვიათობაა დოკუმენტური ბიოგრაფიული ფილმი ეკრანზე.

სწორედ კინობიოგრაფიის უძნელეს და უკეთილშობილეს ჟანრს განეკუთვნება ახალი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური სურათი „მარშალი ჟუკოვი. ბიოგრაფიის ფურცლები", რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების მეორმოცე წლისთავის წინ გამოვიდა.

სურათი დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში შექმნეს ლენინური პრემიის ლაურეატმა, კინოდრამატურგმა იგორ იცკოვმა და გამოცდილმა რეჟისორმა მარინე ბაბაკმა. რთული და იმავდროულად საამაყო ამოცანა იდგა მათ წინაშე. რთული, რამეთუ მრავალი ფაქტი და მოვლენა გიორგი ჟუკოვის ცხოვრება-მოღვაწეობისა, უკვე კარგად არის ცნობილი მკითხველ-მაყურებლისათვის და ეკრანზე მათი უბრალო მოყოლით, ალბათ, უსულგულო კინოილუსტრაციაღა თუ შეგვრჩებოდა ხელთ. საამაყო კი იმიტომ, რომ ფილმის ავტორები ეძიებდნენ და აგნებდნენ, პირველად ეხებოდნენ იშვიათ, ჭეშმარიტად უნიკალურ კინო და ფოტოდოკუმენტებს. ამასთან, მათ მონახეს ისტორიული მასალის გააზრებისა და პუბლიცისტური გადმოცემის ის ხერხი, რომლითაც ნათლად და დამაჯერებლად დაიხატა სახე-იერი მხედართმთავრისა, რომლის წვლილსაც სამხედრო მეცნიერებაში უკვე რახანია, გულისყურით სწავლობენ სპეციალისტები ჩვენშიც და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმაც. და თუმცა ავტორები წინდაწინ გვაფრთხილებენ — ეს ფილმი არ არის დიდი სამამულო ომის მოვლენების, მისი თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპებისა და ბრძოლების თანამიმდევრული გადმოცემაო, მიუხედავად ამისა, ეკრანზე მოთხრობილი მხედართმთავრის ბიოგრაფიით თითქოს სულს იდგამენ, ახალ აზრსა და სიცოცხლეს იძენენ დიადი ბრძოლების ამსახველი ქრონიკალური კინოკადრები.

არცთუ ბევრი შემონახულა ვიზუალური მასალა, რომელზეც აღბეჭდილია ომისდროინდელი მარშალ ჟუკოვის ცოცხალი ხატი. მიზეზი კი მარტო ის არ არის — უყვარდა თუ არა მას გადაღება. ომის კანონების კვალობაზე, სასტიკად იყო გასაიდუმლოებული უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილის ჩასვლა ფრონტის ამა თუ იმ უბანზე, რამეთუ სწორედ იქ ხდებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები... თუმცაღა, ისტორიასაც აქვს თავისი კანონები — ჭეშმარიტ საქმეთა შემოქმედი უკვალოდ არ გადაეგება. და აი, ამ ფილმში პირველად ქვეყნდება მთელი სერია უნიკალური ფოტოსურათებისა, რომლებიც, როგორც მოყვარულს, ომის ოთხი წლის განმავლობაში და ჟამიდან ჟამ გადაუღია პირადად ჟუკოვის საგანგებო დავალებათა შემსრულებელ ოფიცერს, დღეს კი მარშალ ნ. ბედოვს... ასევე იშვიათი და ძვირფასი დოკუმენტია გიორგი ჟუკოვის მონათხრობის სინქრონული კინოჩანაწერი, რომელიც 1967 წელს შესრულდა მწერალ კონსტანტინე სიმონოვის გამჭრიახობითა და შორსმჭვრეტელობით. იმხანად რეჟისორი ვასილ ორდინსკი ფილმს იღებდა მოსკოვის დაცვაზე. „თუ შენთვის ძვირფასია სახლი შენი" — ეწოდება საბჭოური კინოდოკუმენტალისტიკის ამ ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. სწორედ კ. სიმონოვის თაოსნობით და დაჟინებით ფილმის გადამღები ჯგუფი მოსკოვის მახლობლად აგარაკზე იწვია ომგადახდილ მარშალს, ჩაიწერა მისი ცოცხალი ნაამბობი მრისხანე 1941-ის შემოდგომისა და ზამთრის დრამატულ და გმირულ მოვლენებზე. მაშინ იმ ფილმში მხოლოდ მცირე ნაწილი შევიდა ჟუკოვისეული საოცრად ნათელი და სახიერი მოგონებებისა. მაგრამ სამომავლოდ დარჩა ფასდაუდებელი სინქრონული კადრები, რომლებიც ახლებურად, ორგანულად ჩაიწერა მხედართმთავრის კინობიოგრაფიაში.

ფილმი დაყოფილია შვიდ თავად. თითოეული წარმოგვიდგება გიორგი ჟუკოვის ჯარისკაცური ცხოვრებისა და მოღვაწეობის სახელოვან ფურცლად. ეს არის ხალხინ-გოლზე გადახდილი ბრძოლები, რომელთა მხედრულ და ზნეობრივ გამოცდილებაში სათავეს იღებდა მარშალ ჟუკოვის მხედართმთავრული ხელწერა; ეს არის დრამატიზმით აღსავსე ბრძოლები მოსკოვისათვის, რომელთა გამო კ. სიმონოვთან და ვ. ორდინსკისთან ინტერვიუში ფიქრმორეული ამბობს: „დღემდე მახსოვს ამ შერკინების თვით უმცირესი დეტალებიც კი. მართალია, მანამდე გადავიხადე ლენინგრადისთვის ბრძოლა, ესეც დაუვიწყარი საქმენია, მაგრამ მოსკოვი — მაინც ყველაზე მძიმე განსაცდელი იყო..." ეს არის სტალინგრადთან ფაშისტური ჯარების ალყაში მოქცევის არგაგონილი სითამამით განხორციელებული სტრატეგიული ჩანაფიქრი, საოცარი სიზუსტით განჭვრეტილი და შესრულებული ოპერაციები კურსკის რკალსა და ბელორუსიაში; ბერლინისათვის ბრძოლები... და ბოლოს, — გამარჯვების პარადი. მავზოლეუმთან ძირს იყრება დამხობილი ფაშისტური შტანდარტები. კრემლის მაცხოვრის კარიბჭიდან გამოდის თეთრ ბედაურზე ამხედრებული მარშალი ჟუკოვი. და ამ დროს ჩაგვესმის მთხრობლის მიერ კადრსმიღმა ნათქვამი: „იმ წელს, — გამარჯვების წელს, — იგი ორმოცდაათისაც კი არ იყო"...

ფილმში მთხრობლად შემოდის მიხეილ ულიანოვი — ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, რომლის სახელთანაც, უკვე კარგა ხანია, დაკავშირებულია მხატვრულ კინოში შექმნილი მარშალ ჟუკოვის ეკრანული სახე. მაშინ ბევრი, ვინც პირადად იცნობდა გიორგი კონსტანტინეს ძეს, ერთხმად აღნიშნავდა კინოეპოპეა „განთავისუფლებასა" და ფილმ „ბლოკადაში" მიღწეულ საოცარ შინაგან მსგავსებას მხატვრულ სახე-იერსა და მის ცხოვრებისეულ პროტოტიპს შორის... დიდი, ხშირად — გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკრანზე წამყვანს. მეტადრე კი — ცნობილ პიროვნებაზე შექმნილ ბიოგრაფიულ ფილმში. არანაკლებ მნიშვნელოვანია მომენტი, ისიც, თუ რა გარემოებაში ჩააყენებენ მთხრობელს სურათის გადამღებნი. და აი, მიხეილ ულიანოვი თხრობას იწყებს თანამედროვე ბერლინიდან. იგი დგას რაიხსტაგის წინ, რომლის კედლებზეც ათასობით სხვა გვარ-სახელთან ერთად დარჩა წარწერაც — „ჟუკოვი". მერე იგი შეგვესიტყვება უმაღლესი მთავარსარდლის — იოსებ სტალინის კაბინეტიდან, სადაც ომის წლებში არც ერთ კინოოპერატორს ფეხი არ დაუდგამს და ამდენად აქ გადაღებული ერთი კინოკადრიც არ მოიძევება. შემდეგ მთხრობელს ვხედავთ მოსკოვის შემოგარენში — ყოფილი ფიცხელი ბრძოლების ადგილებში, ვხვდებით კარლსჰორსტში, სადაც ჟუკოვმა მიიღო ფაშისტური რაიხის უსიტყვო კაპიტულაცია... თვითმხილველის დამაჯერებლობით გვაცნობს იგი მეორე მსოფლიო ომის უმძიმეს სტრატეგიულ ოპერაციებს, ფიქრისეული ღრმა განსჯით წარმოგვიდგენს ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების დრამატულ კოლიზიებს...

ასე — მთხრობლის მიერ კონკრეტული ისტორიული ადგილებიდან ნაამბობით, თავად მარშალ გიორგი ჟუკოვის მოგონებებით, უნიკალური კინოკადრებით და ფოტოსურათებით იქმნება ჭეშმარიტი კინობიოგრაფია მხედართმთავრისა, და მაინც ფილმი ღირსეულ ფასს ვერ დაიდებდა, მასში მიღწეული რომ არ იყოს ის ყველაზე საუკეთესო, რაიც იშვიათად თუ ხელეწიფებათ ხოლმე ბიოგრაფიული სურათების გადამღებთ: ავტორებმა შეძლეს მთავარი გმირის პიროვნული განუმეორებლობის, მისი ნამოღვაწარის მასშტაბურობის, ადამიანური თავისებურების ეკრანზე გამოხატვა და გახსნა. ამასთან „მარშალი ჟუკოვი. ბიოგრაფიის ფურცლები" კიდევ ერთი მეტყველი მაგალითია, თუ რაოდენ კეთილშობილური და მნიშვნელოვანი ჟანრია დოკუმენტური ბიოგრაფიული ფილმი. და იმასაც შეგვახსენებს, რომ გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი შემოქმედების კინოკადრების გადაღება ყოველთვის საშური, გადაუდებელი, სადღეისო საზრუნავია.

ფილმზე საუბარი კი დავასრულოთ თავად გიორგი ჟუკოვის სიტყვებით: „ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ვპირდები ადამიანებს, რომ მარად ვალში ვარ მათ წინაშე. ეს კი, თუ კაცის სიცოცხლის აზრს დავუფიქრდებით, ყველაზე მთავარია. ჩემი ბედ-იღბალი მხოლოდ მცირე მაგალითია საბჭოთა ხალხის საერთო ბედ-იღბლისა".

ოთარ სეფიაშვილი,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

სურათზე: ფილმის კადრი—გ. კ. ჟუკოვი ბერლინის ოპერაციის წინ. 1945 წლის აპრილი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

სპორტი

სატურნიროორბიტა

ბიათლონი. შვეიცარიის ქალაქ ეგში დაწყებულ მსოფლიო ჩემპიონატზე საუცხოოდ იასპარეზა ტარტუელმა სპორტსმენმა ქალმა კაია პარვემ. მან 10-კილომეტრიან დისტანციაზე ყველას აჯობა და მსოფლიოში უძლიერესის წოდება მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ნორვეგიელი სანა გრენლიდი, მესამეზე — შვედი ევა კორპელა. აქვე მიმდინარე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ბიათლონისტმა ვადიმ ოვჩინიკოვმა 15 კმ დისტანციაზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

მშვილდოსნობა. მოსკოვის ოლიმპიურ სპორტკომპლექსში გრძელდება ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი. მეორე დღეს მშვილდოსნებმა 18 მეტრზე სროლაში იასპარეზეს. მოგილიოველი ელენე მარფელი ამ დისტანციაზეც უძლიერესი აღმოჩნდა და ამასთან ერთად გაიმეორა მოსკოველ ნატალია ბუტუზოვას მსოფლიო მიღწევა — 583 ქულა. ბუტუზოვა მეორე ადგილზე გამოვიდა (574), მესამეზე — ჩებოქსარელი ირინე სოლდატოვა (572). ვაჟთა შორის ამავე დისტანციაზე ჩებოქსარელმა იური ლეონტიევმა და ჩიტელმა მუნკო-ბადრა დაშიცირენოვმა 587-587 ქულა დააგროვეს და ორივეს ოქროს მედლები გადაეცათ. მესამე ადგილი წილად ხვდა ლვოველ იაროსლავ გუსაკს (584).

ცურვა. მოსკოვში, სადაც ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი უცხოელ სპორტსმენებთან ერთად მიმდინარეობს, გათამაშდა მედლების კიდევ რამდენიმე კომპლექტი. ქალთა შორის 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უძლიერესი იყო ლენინგრადელი ო. გრიგორიევა (4.18,36), ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში კი ყველას აჯობა ლენინგრადელმა ე. დენდებეროვამ (4.55,96). ამ სახეობებში ვაჟთა შორის შესაბამისად პირველი ადგილი მოიპოვეს მოსკოველებმა ა. ბაზანოვმა (3.57,10) და უკრაინის წარმომადგენელმა ვ. იაროშჩუკმა (4.27,03). გთავაზობთ საქართველოს სპორტსმენთა რამდენიმე შედეგს: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ი. გერასიმოვა მეხუთე იყო (58,98), 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში დ. იაკოვლევი მერვე ადგილზე გამოვიდა (2.06,38), ხოლო 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ვაჟთა გუნდების ესტაფეტაში საქართველოს ნაკრებმა მეშვიდე ადგილი დაიკავა (7.53,47).

ფეხბურთი. ფლორენციაში სსრ კავშირის ნაკრებმა ამხანაგური მატჩი გამართა იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებთან (დაკომპლექტებული იყო 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელებით). შეხვედრა მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ალეინიკოვმა და გავრილოვმა. სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი, ლარიონოვი, ბოროვსკი, ბალტაჩა, დემიანენკო, ალეინიკოვი, ზიგმანტოვიჩი, პროტასოვი (შავლო), ლიტოვჩენკო, გავრილოვი (გოცმანოვი), სტუკაშოვი (დმიტრიევი).

ჭადრაკი. ანგოლის დედაქალაქ ლუანდაში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების 13 ტურის შემდეგ 11,5-11,5 ქულით ლიდერობენ თბილისელი მოჭადრაკეები ნონა გაფრინდაშვილი და ელიზბარ უბილავა. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება იუგოსლავიის წარმომადგენელი დიზდარევიჩი. შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა ორი ტური.

სირია

„ვეფხისტყაოსანი" არაბულ ენაზე

დამასკო. სირიელ წიგნის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია წიგნის მაღაზიების დახლებზე დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის" გამოჩენამ. პოემა არაბულად თარგმნა ნაზარ ხალილმა.

მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი ნაწარმოები ამკვიდრებს ჰუმანისტურ იდეებს, აცხადებს, რომ კეთილი სძლევს ბოროტს, სამართლიანობა — ძალადობასა და ჩაგვრას, წერს გაზეთ „ას-საურას" ფურცლებზე ლიტერატურული კრიტიკოსი ატიფ აბუ ჯამრა. დღეს შუა საუკუნეების ლიტერატურული შემოქმედების ეს ძეგლი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის არაბულზეც.

ჩვენ გადავშალეთ ახალი დიდმნიშვნელოვანი ფურცელი სირიელი და საბჭოთა ხალხების კულტურულ თანამშრომლობაში — ასე შეაფასა არაბულ ენაზე პოემის გამოქვეყნება დამასკოს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა სულეიმან ზეიდიამ. სირიელი მკითხველები, განაცხადა მან საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში, გაეცნობიან დიდი ქართველი პოეტის ნაწარმოებს, რომელმაც წინასწარ განჭვრიტა აღორძინების ეპოქის ჰუმანისტური იდეები. უდავოა, რომ სირიელ წიგნის მოყვარულებს მოეწონებათ ეს ნაწარმოები. პოემა დაამშვენებს მათს წიგნის თაროებს. „ვეფხისტყაოსანს" მიიღებენ აგრეთვე ქვეყნის უნივერსიტე-...

ავღანეთი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

22 თებერვალი ● საქდესი იუწყება

ახლო აღმოსავლეთი

აგრესორთა თარეშის აღსაკვეთად

ბეირუთი. როგორც ბეირუთის რადიო იუწყება, ლიბანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინსტრუქცია მისცა თავის წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხაზგასმით მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ისრაელის მიერ ლიბანის ოკუპირებულ რაიონებში ტერორისა და რეპრესიების კამპანიის გამო. ლიბანი, ნათქვამია დოკუმენტში, იტოვებს უფლებას მოითხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მოწვევა ისრაელის მოქმედების განსახილველად.

როგორც ცნობილია, ბოლო დღეებში ისრაელმა აგრესორებმა საგრძნობლად გააძლიერეს რეპრესიები ლიბანის ოკუპირებულ რაიონებში. მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი, ეწყობა მასობრივი დაპატიმრებანი.

დამასკო. სირიის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა მიიღო ლიბანის დეპუტატთა პალატის (პარლამენტის) დელეგაცია პალატის თავმჯდომარის ჰუსეინ ალ-ჰუსეინის მეთაურობით, რომელიც აქ ვიზიტად იმყოფება.

ჰაფეზ ასადმა ლიბანელ ხალხს მიულოცა ისრაელი ოკუპანტებისაგან ქალაქ საიდის რაიონის განთავისუფლება.

სირია კვლავაც მტკიცედ დაუჭერს მხარს მოძმე ლიბანს, საჭირო დახმარებას გაუწევს ისრაელი დამპყრობლებისაგან ქვეყნის ტერიტორიის მთლიანად განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, განაცხადა სირიის პრეზიდენტმა. მან გამოთქვა რწმენა, რომ ლიბანელი ხალხი შეძლებს აღადგინოს ეროვნული ერთიანობა, წარმატებით გადალახოს არსებული სიძნელენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

ფოტოფაქტი

იაპონია

პენტაგონის კარნახით

ტოკიო. პრემიერ-მინისტრ ნაკასონეს კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება ეროვნული თავდაცვის სამმართველოს გამოუყოს ომისშემდგომ პერიოდში რეკორდული თანხა 8,14 ტრილიონი იენი. ეს თითქმის 7 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის მაჩვენებელს. ამრიგად, იაპონია ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა სამხედრო ბიუჯეტის ზრდის ტემპის მიხედვით და ძალიერად მიუახლოვდა 1976 წელს მისთვის ოფიციალურად დადგენილ ზღვარს მთლიანი ეროვნული პროდუქტის 1 პროცენტის ოდენობით.

მიუხედავად ამისა, ვაშინგტონი წინანდებურად უსაყვედურებს იაპონიის მმართველ წრეებს, რომ „არასაკმარისად მოქმედებენ" „თავისუფალი სამყაროს" ინტერესების დასაცავად. შეერთებული შტატები ყოველ ღონეს ხმარობს, რათა შორეულაღმოსავლელ მოკავშირეს მონაწილეობა მიაღებინოს თავის აგრესიულ გეგმებში არა მარტო ზღვაზე, არამედ კოსმოსში. პრესის ცნობით, პენტაგონის შეფმა უაინბერგერმა უკვე რამდენჯერმე მოუწოდა იაპონიას ...

ვაშინგტონის ღვარძლიანი მონაჭორი

ვაშინგტონი. რეიგანის ადმინისტრაცია მიმართავს აშკარა სიცრუესა და ფაქტების დამახინჯებას იმ მიზნით, რომ გაამართლოს „კოსმოსური ომების" თავისი ავისმომასწავებელი პროგრამა — კოსმოსური სივრცის მილიტარიზაცია იმ საბაბით, თითქოსდა იძულებული იყოს განახორციელოს ეს ღონისძიება „სსრ კავშირის სამხედრო მზადების" პირობებში.

ამ კამპანიის ფარგლებში თეთრმა სახლმა კონგრესში გაგზავნა ადმინისტრაციის ერთბაშად სამი მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი — თავდაცვის მინისტრის თანაშემწე რ. პერლი, შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების სააგენტოს დირექტორი კ. ედელმანი და სახელმწიფო დეპარტამენტის სამხედრო-პოლიტიკურ საქმეთა ბიუროს დირექტორი ჯ. ჩეინი. სენატის კომისიაში შეიარაღებული ძალების საქმეთა გამო გამართულ მოსმენებზე გამოსვლისას ისინი ამტკიცებდნენ, თითქოს „შეთანხმებათა შესრულების დარგში საბჭოთა კავშირის ნამსახურობის ნუსხა სერიოზული პრობლემა იყოს". აშკარაა ამგვარი ბინძური ინსინუაციების მიზანი, რომლებსაც არავითარი საფუძველი არა აქვთ. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" წერს, „ადმინისტრაციის ოფიციალურმა პირებმა კონგრესში დაიწყეს ამ „დარღვევების" დამოწმება, რათა გაემართლებინათ პრეზიდენტის მიერ წამოყენებული პენტაგონის ბიუჯეტი და მისი ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა", რომელიც ითვალისწინებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნასა და განლაგებას კოსმოსში".

ღვარძლიანი მონაჭორი, რომელსაც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მიმართეს, როგორც მეთვალყურენი აღნიშნავენ, ...სა, რომელმაც ნიადაგი უნდა მოუმზადოს და შენიღბოს შეერთებული შტატების მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის თაობაზე 1972 წელს დადებული ხელშეკრულების ჩაფუშვა, რომელიც, როგორც თვით ამერიკელი ექსპერტები აღიარებენ, შეიარაღებისადმი კონტროლის პროცესის ქვაკუთხედია. რეიგანის ადმინისტრაციის ამ ზრახვებზე გულახდილად ილაპარაკა სენატის კომისიაში გამოსვლის დროს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანაშემწე რ. პერლმა. მან განაცხადა, რომ ახლა პენტაგონი უკვე სწავლობს იმ მოქმედების „შესაძლო ვარიანტებს", რომელიც ითვალისწინებს 1972 წლის ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ ბირთვული შეიარაღების სხვადასხვა სისტემის შექმნას. თავის გამონათქვამებში, შენიშნავს „ვაშინგტონ პოსტი", პერლი „უფრო გულახდილი იყო, ვიდრე მანამდე გამოსული ადმინისტრაციის რომელიმე სხვა წარმომადგენელი".

ვაშინგტონის ასეთი პოზიცია სერიოზულ შეშფოთებას იწვევს შეერთებულ შტატებში.

ნიუ-იორკი. რეიგანის „კოსმოსური ომების" პროგრამის რეალიზაციას შეიძლება მოჰყვეს გამალებული ბირთვული შეიარაღების ახალი რაუნდი. ამას წერს გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორში" ცნობილი მეცნიერი, პრინსტონის უნივერსიტეტის თა-... ნიშნავს მეცნიერი, „შევინარჩუნოთ არსებული შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებენ როგორც შეტევითი, ისე თავდაცვითი ბირთვული შეიარაღების შემდგომი განვითარების შეზღუდვას, კერძოდ, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის ხელშეკრულება, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის პირველი და მეორე ხელშეკრულებები". ამავე დროს, რ. გოინის აზრით, „უნდა ვილვაწოთ გამოცდების საყოველთაო და სრული აკრძალვისათვის, არსებული ბირთვული არსენალების შემცირებისათვის".

◆ სიცრუე და ფაქტების დამახინჯება „კოსმოსური ომების" პროგრამის გამართლების მიზნით ◆ ამზადებენ დიდ პროპაგანდისტულ აქციას ◆ თვალსაჩინო ამერიკელი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი გმობენ

სან-ფრანცისკო. თეთრი სახლის მიერ შემუშავებული „კოსმოსური ომების" პროგრამა კიდევ უფრო გაამწვავებს საერთაშორისო ვითარებას და გააძლიერებს ბირთვული ომის საფრთხეს, განაცხადა სტანფორდის უნივერსიტეტში გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, პრეზიდენტის ყოფილმა სპეციალურმა თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში მ. ბანდიმ. მან თქვა, რომ კოსმოსის მილიტარიზაციის გეგმები იწვევს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებული შეიარაღებისადმი კონტროლის ხელშეკრულებათა ჩაფუშვას და სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი ქვეყნის ... ლი კომპლექსის შესახებ.

ვინ ვინ არის

ახალი დანიშვნა თეთრ სახლში

ვაშინგტონი. ... ბით აღნიშნავდა შეუწყნარებლად გაზრდილ საბიუჯეტო დეფიციტს, რომელიც, როგორც ცნობილია, გამალებული შეიარაღების არაამწარმოებლური ხარჯების ასტრონომიულმა ზრდამ განაპირობა, და მოითხოვდა სამხედრო ასიგნებათა არსებითად შეზღუდვას. ბოლოს და ბოლოს, მას შესთავაზეს „თავისი ნებით" დაეტოვებინა პოსტი.

ახლანდელი დანიშვნით თეთრმა სახლმა, როგორც ჩანს, თავი დაიზღვია უსიამოვნო სიურპრიზებისაგან. ბ. სპრინკელმა, რომელსაც ამ ბოლო ხანს პასუხსაგები პოსტი ეკავა ფინანსთა სამინისტროში, პრესის ცნობით, თავი გამოიჩინა როგორც ადმინისტრაციის „მტკიცე მომხრემ".

ჩინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის გამოსვლა

პეკინი. ჟურნალ „ლაოვანმა" გამოაქვეყნა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ხუ იაობანის გამოსვლა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული სკოლის მსმენელების წინაშე. კერძოდ, მან განაცხადა: „ზუსტად ოცი წელი ახალი ჩინეთის შექმნის შემდეგ გასული, ოცდათექვსმეტი წლიდან, შეიძლება ითქვას, დაკარგულია, რადგან საქმეს ისე არ უძღვებოდნენ, როგორც საჭირო იყო". ხუ იაობანმა თქვა, რომ ეს ოცი წელი დაკარგულია „კულტურული რევოლუციის" გამო, რომელმაც შეძრა ქვეყანა და რომელსაც მოჰყვა ახლანდელი ეკონომიკური ჩამორჩენილობა, ქაოსი ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა აგრეთვე, რომ შემდგომში საჭიროა ყოველმხრივ ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ ამგვარი რამ.

ა. დ. მგელაძე

... ლი ნათელი" — პროფესორი ივანე სურგულაძე (განმეორებით). 13.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გმირი, ლექსი, სიმღერა". 14.20 — საბავშვო იუმორისტული კინოჟურნალი „ერალაში". 14.30 — ...

... მოსწავლეთათვის — „ისინი შენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ". 19.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 19.50 — „მოამბე". 20.20 — „დღეს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა" (მ.). 20.35 — ცეროდენას ეკრანი. 20.55 — კინოჟურნალი. ...

... აკადემიური — და არს მუსიკა; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შეშლილო, შეშლილო... ახალი წელი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შენკენ სავალი გზები; თბილისის სახელმწიფო დრამატული — ...

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434